პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
სამშაბათი
6
იანვარი
№ 4
(16434)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

მეათე ხუთწლედის ვარსკვლავზე

- რუსთაველ მეტალურგთა წინასაყრილობო შეჯიბრების ინიციატორია საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატი, მეფოლადე ო. ლომიძე.
- ახალი წლის პირველ ორ სამუშაო დღეში თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის კოლექტივმა გამოუშვა ასი ზეგეგმითი გაზქურა.
- მომხმარებელი მიიღებს მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას, — კისრულობს ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ კოლექტივი.
- ხაშურელი ინიციატორების სიტყვა და საქმე. ახალი ზღუდეების ასაღებად იბრძვიან ისინი.

სოფელი: ბაქმე ზამთარშიც ბეჭრია

ეფექტურობა გაანადგეს

სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ღირსეულად შეხვედრის მიზნით ხაშურის რაიონის მშრომელებმა იკისრეს 1975 წლის მეოთხე კვარტალში წინა წელთან შედარებით 28 პროცენტით გაეზარდათ თვითეული საფურაქე ძროხის წველადობა, 10 პროცენტით შეემცირებინათ რძის თვითღირებულება და ამით მარტო მეოთხე კვარტალში დაეზოგათ 18.780 მანეთი, რძის სამუალო ცხიმიანობა გაეზრდათ 3,6 პროცენტამდე და სხვა. და მოწოდებით მიმართეს საქართველოს მეცხოველეებს, რესპუბლიკის მშრომელებმა ხაშურელებს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი.

ამ დღეებში ინიციატორებმა — ხაშურელებმა შეაჯამეს გაწეული შეშაობის შედეგები და ასეთი სურათი მიიღეს: 1975 წლის მეოთხე კვარტალში მიღებულია წინა წელთან შედარებით 157,6 ტონით მეტი რძე ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 144,5 ტონისა, ე.ი. მატება შეადგენს 27 პროცენტს, ყოველ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 1.402 ლიტრი რძე ნაცვლად წინა წელს მიღებული 1.242 ლიტრისა. წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაიზოგა 18.800 მანეთი, რძის ცხიმიანობა გაიზარდა 3,69 პროცენტამდე ნაცვლად ნაკისრი 3,6 პროცენტისა.

წლეულს ხაშურელი მეცხოველეები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ უფრო დაახვავონ მეცხოველეობის პროდუქტები — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა ჯ. ბედუკაძემ.

ტემპი კარგია

მეათე ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე ნაყოფიერად შეუდგნენ შეშაობას დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (დირექტორი ც. მოსაძე) სიმეზნარის ლაქიდაციის მიზნით მარტო ერთ დღეს გამორგეს 1560 ძირი ვაზი, ხოლო გადაყვინეს 1.100 ძირი. ამ სამუშაოს შესრულებაში პირველი დღიდანვე დაწინაურდა აგროგანყოფილება, რომელსაც ჯ. ტყეშელაშვილი ხელმძღვანელობს.

მეურნეობაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ეენახებში მწკრივთა შორის ხენა-გადაბარვა და სასუქის შეტანა. სამ დღეში აღნიშნული სამუშაოები ჩატარდა 5 ჰექტარზე. დაწინაურებულთა შორის არიან მუშები ნ. წიკლაური, ტ. ვალიკოვა და მექანიზატორი შ. ბიბლიძე, რომლებიც მწკრივთაშორის ნიადაგის დამუშავების ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებენ.

იანვრის დღეებიდანვე მეურნეობაში ვაზის ჯიშების კოლექციის გაშენების საქმეში კარგ ღონისძიებებს ახორციელებენ. გათვალისწინებულია არსებულ ჯიშებს წლეულს შემატონ რამდენიმე ახალი ჯიში. ამ მიზნით უკვე დაიწყეს მუშაობა პროფესორ მ. რამიშვილის რჩევა-დარიგებითა და ხელმძღვანელობით. ახლა იანვრის დღეებში 0,5 ჰექტარზე გაშენდა ვაზის ახალი ჯიშები. კოლექციისათვის დამატებით კიდევ გაშენდება 5 ჰექტარზე. მუშები ა. ხარაძე და ვ. ლაზიაშვილი პირველობის მისაღწევად ერთმანეთს ეჯიბრებიან. გუშინ პირველმა ვაზის რგვის დღიური ნორმა 120 პროცენტით გაანაღდა, მეორემ — 110 პროცენტით.

შ. ჭოჭუა.

გაანვამტკიცოთ მასებთან კავშირი



ჩვენი საზოგადოების წარმატების საწინდარია პარტიისა და მშრომელი მასების მტკიცე ერთიანობა. საყოველთაო-სახალხო მოწონება და მხარდაჭერა, რითაც შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებს“, კვლავ დამაჯერებლად ცხადყოფს ამ ერთიანობის მძლავრ ძალას. საბჭოთა ხალხს, რომელმაც დაიწყო 1976 წელი, მეათე ხუთწლედის პირველი წელი, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით შეასრულოს მის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანები, კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მრავალი კავშირი აერთიანებს თვითეულ პარტიულ კომიტეტს პირველადს პარტორგანიზაციებთან, შრომითს კოლექტივებთან. XXIV ყრილობის შემდგომ წლებში ეს კავშირი არსებითად განმტკიცდა, უფრო მრავალფეროვანი და მრავალმხრივი გახდა. ახლა მიმდინარე ხაოლქო და სამხარეო პარტიულ კონფერენციებზე აღინიშნება პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება, საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის, სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის სრულყოფაზე აქტიური პარტიული გავლენა. პარტიული მუშაკები ცდილობენ უფრო მეტი დრო დაუთმონ მშრომელებთან უშუალო ურთიერთობას.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ დიდად შევაფასებთ მის მნიშვნელობას. იცხოვრო ხალხის ინტერესებით, რაც შეიძლება ახლოს იყო მათ საჭიროებასთან, საზრუნავთან, საქმეებთან — პარტიული მუშაკის უპირველესი ვალია. „პირადი ზეგავლენა... მეტად ბევრს ნიშნავს პოლიტიკაში“, — წერდა ვ. ი. ლენინი. ახლაც აქტუალურია მისი რჩევა: „ცხოვრობდე შუაგულში. იცოდე განწყობილება. იცოდე ყველაფერი. გესმოდეს მასიხა“.

იმისათვის, რომ უფრო ღრმად იცოდე და გესმოდეს შრომითი კოლექტივების ვითარება, უფრო წარმატებით წარმართო ისინი წარმოების ეფექტიანობის აღმავლობისათვის, მთელი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად, საჭიროა შემდგომშიაც გააფართოო ხალხთან ცოცხალი კავშირი. ამ ურთიერთობით პარტიული კომიტეტები ძვირფას დაკვირვებებსა და დასკვნებს იღებენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმზე განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ლენინური, ჭეშმარიტად პარტიული ხელმძღვანელობის სტილის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია ყველა დონეზე საჭირო მუდმივი ყურადღება ახლად გამოვლენილი შესაძლებლობების, რეზერვების გამოყენებისა და რეალიზაციისათვის. სწორედ აქ გვაძლევს ძალზე ბევრს პარტიული კომიტეტების მუშაკთა უშუალო ურთიერთობა მშრომელებთან, საქმიანი რჩევა-დარიგებები.

PRAVDA

5 იანვრის მოწონავე

მაგალითისათვის ავიღოთ უკრაინის კომპარტიის კიევის ხაოლქო კომიტეტის პრაქტიკა, რომელიც დამახასიათებელია ბევრი პარტიული კომიტეტისათვის. პარტორგანიზაციების საქმეებთან დაკავშირებული რომელიც გნებავთ საკითხის განხილვის დროს ხაოლქო კომიტეტი განიხილავს, თუ როგორ მონაწილეობდნენ პირადად პარტიის რაიკომის ან საქალაქო კომიტეტის მუშაკები ადგილებზე ორგანიზაციულ და პოლიტიკურ საქმიანობაში, რით უპასუხებდნენ შენიშვნებსა და წინადადებებს. ასეთი კონტაქტების განმტკიცებას ხელს უწყობს ბევრ რაიონში შემოღებული ერთიანი პოლიტდღე. თვეში ორჯერ ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფები რაიკომის მდივნის ან პიროს წევრის ხელმძღვანელობით მიდიან ხოფლად, რათა გამოვიდნენ მშრომელთა წინაშე, უპასუხონ შეკითხვებზე. ხალხი იწონებს ასეთ პრაქტიკას. ასეთია პარტიის ბარიშევკის რაიკომის მდივნის ი. პილიპენკოს აზრი: „ამ შეხვედრების დროს ჩვენ ბევრ საინტერესოსა და ძვირფასს გვრჩევენ, რასაც, რა თქმა უნდა, კაბინეტში ვერ მოისმენ“.

„ლენინური ხუთშაბათები“ და „პარასკევები“, ერთიანი პოლიტდღეები, კითხვა-პასუხის საღამოები — მასობრივ-პოლიტიკური საქმეებია მრავალრიცხოვანი ფორმები უზრუნველყოფს მშრომელთა წინაშე ხელმძღვანელ მუშაკთა გამოსვლების განსაზღვრულ სისტემას. რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა შრომითს კოლექტივებში ხალხთან ურთიერთობა თვეში ერთი-ორი დღით შეგვეზღუდა. სხვათაშორის, ზოგან ასეთი ფორმები მაინც გვხვდება. სწორედ ამისათვის გააკრიტიკეს ცალკეული ხელმძღვანელები აზერბაიჯანის შეკის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, სხვა კონფერენციებზე.

საქმე იმას ეხება, რომ შრომითს კოლექტივებში წასვლა, ამ კოლექტივებში ცოცხალი კონკრეტული მუშაობა, მშრომელებთან შეხვედრები და საუბრები თვით კომიტეტში გახდეს თვითეული პარტიული ხელმძღვანელის ორგანული მოთხოვნილება. და აქ ყველა შეხაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ. ხავსებით გაამართლა იმედი, მაგალითად, კომიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობამ პარტიულ, მუშათა, კომკავშირულ კრებებში, ხოფლის ყოფილობებში, შრომის მოწინავეთა პატივსაცემად გამართულ შეხვედრებში, სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებში.

ახლანდელ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს მოსკოვის პირველადი პარტორგანიზაციების დაახლოებით სამიდაათ პროცენტს ეწევიენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების წევრები. ისინი განა მარტო დაესწრნენ კრებებსა და კონფერენციებს? ფართოდაც გაეცნენ შრომითი კოლექტივების ცხოვრებას, მოისმინეს ადამიანების აზრი და სურვილები, უპასუხეს საინტერესო კითხვებზე. აქ მნიშვნელოვანია თვით ამ შეხვედრების ატმოსფერო, რომელიც გამოირჩევა დიდი ნდობით, ამხანაგური გულახდილობით.

პარტიული მუშაკი ჩვენს ხალხს ავტორიტეტულ ამხანაგად, თავმდაბალ, უბრალო ამხანაგად მიიჩნევა. მისი ქცევის სტილისათვის უცხოა ქედმაღლობა და ყოყოჩობა. კრასნოდარის სასოფლო მანქანათმშენებლობის ქარხნის კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე პარტიული კომიტეტის შემადგენლობაში არ აირჩიეს პარტიული კომიტეტის ყოფილი მდივანი. რა იყო ამის მიზეზი? აი ქარხნის პარტორგანიზაციის ზოგიერთი წევრის აზრი: „ეს მოსალოდნელიც იყო. იგი კაბინეტის მუშაკია, იშვიათად დადიოდა საამქრო ორგანიზაციებში, სათანადო ურთიერთობა არ ჰქონდა ადამიანებთან, უყვარდა ადმინისტრირება, რამაც გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე“.

პარტიული მუშაკების დღეები აღსავსეა მრავალი საქმითა და საზრუნავით. მაგრამ ყველა პირობებში საჭიროა გამოვნახოთ შეხაძლებლობა ადგილებზე ვითარების უშუალოდ შესწავლისათვის და მშრომელებთან ცოცხალი ურთიერთობისათვის, ზუსტად დავგეგმოთ ჩვენი დრო. სწორად იქცევიან ის კომიტეტები, რომლებიც გულდასმით აანალიზებენ პარტიული აპარატის საქმიანობის ორგანიზაციას, იღვწიან მისი სისტემატური სრულყოფისათვის.

პარტიის XXV ყრილობისათვის მზადება მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის კიდევ უფრო მეტ აქტივიზაციას მოითხოვს. საჭიროა უფრო ფართოდ გავუწიოთ პროპაგანდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებათა“ პროექტს, დავრაზმოთ შრომითი კოლექტივები მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების, საყრილობო ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

„ჩვენი პარტია ყველაზე მეტად აფასებს მშრომელთა ნდობას, უფრთხილდება მას, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — განუხრელად განვამტკიცოთ ჩვენი დიადი პარტია, გავაღრმავოთ ხალხთან, მასებთან მისი კავშირი — ახე გვიანდერძა დიდმა ლენინმა, და ჩვენც ერთგულნი ვიქნებით ლენინის ამ ანდერძისა!“.

ჩვენი ფიქრები და საქმეები ჩვენი პარტიის XXV ყრილობას

ამთავითვე — დამკვრელურად!

დელეგატის ინიციატივით

რუსთავი. გუშინ მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში დაიბადა ახალი თაოსნობა. გაეხილეს საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატის, № 2 ღუმელის მეფოლადის ო. ლომიძის ინიციატივა.

ო. ლომიძემ ქარხნის კოლექტივს მოუწოდა სკკპ XXV ყრილობამდე დარჩენილი დრო გამოაცხადონ მაღალი შრომის ნაყოფიერებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების ექვსდეკადად და თებერვალი აღნიშნონ ახალი რეკორდებით.

მარტენის, საგლინავ, მილსაგლინავ აგრეგატებზე თვითეულმა მუშამ, ბრიგადამ, უბანმა, ცეხმა, საამქრომ გააუმჯობესოს მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, მიაღწიონ იმას, რომ ქარხნის მიერ გამოშვებული ლითონპროდუქცია უმაღლესი და პირველი კატეგორიის იყოს.

ო. ლომიძემ გადაწყვიტა შეჯიბრებაში გამოიწვიოს საგლინავი „დგან—1000“-ის უფროსი ოპერატორი ა. ბურჯანაძე და მილსაგლინავ „დგან—400“-ის უფროსი მვალცავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. კურტანიძე და იკისრა ვალდებულება წლიური დავალების გადამეტებით გამოუშვას 600 ტონა ფოლადი; იანვარ-თებერვალში 80 პროცენტამდე აიყვანოს ჩქაროსნული ნადნობების რიცხვი, დაზოგოს 200 ტონა პირობითი სათბობი, 2 პროცენტით გადიდოს შრომის ნაყოფიერება, ღუმელის ქვედის მდგრადობა აიყვანოს 400-420 დნობამდე, მოამზადოს მეფოლადის ორი ხელშემწყობი...

გუშინვე მეტალურგებმა ა. ბურჯანაძემ და ვ. კურტანიძემ მიიღეს ინიციატორის გამოწვევა და მთაც ახალი ვალდებულებები იკისრეს.

გაიშალა ახალი შეჯიბრება სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის.

ზ. მერკვილაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეორე დამკვრელური დღე

თბილისი. („კომუნისტის“ კორ. რ. ბელიძე). გუშინ ქარხანა გაზაპარატის საამწყობო საამქროდან შემფუთავ უბანს გაეგზავნა 400 ცალი გაზქურა, 50 ცალით მეტი, ვიდრე დღიური დავალება ითვალისწინებდა, — ასე აღნიშნეს ახალი ხუთწლედის მეორე სამუშაო დღე საწარმოს მშრომელებმა.

— წლეულს დიდი ამოცანები დგას საწარმოს წინაშე, — თქვა ჩვენთან საუბარში ქარხნის დირექტორმა შ. ჯაფარიძემ, — მნიშვნელოვნად უნდა გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, რომ შეუძლოთ ბარისის სახელმწიფო ნიშანზე წარავდგინოთ ქართული მარკის გაზქურა და ერთი ან ორი დასახელების ჭურჭელი...

ახლა საწარმოს კოლექტივი გაზქურებთან ერთად 25 დასახელების ჭურჭლეულით ამარაგებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას. ამ პროდუქციაზე მოთხოვნილება დიდია. ამიტომ მეტი ნაწარმის გამოშვებისათვის შეჯიბრება გრძელდება დეკემბრიდან: რაოდენობაც, ხარისხიც.

საწარმოს მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ იანვრის დავალება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გასხნის დღისათვის გაანადგურონ. საამქროებსა და უბნებში დამზადდა ზეგეგმითი პროდუქციის პირველი პარტიები. თავი ისახელეს დამტვიფრავებმა ვ. მამედჰუსეინოოლიმ და ა. ბერძენიშვილმა, რომლებმაც 1.500 ცალი გაზქურის გვერდითი კედლის ნაცვლად 1.850 ცალი დეტალი დაამზადეს. სასახელოდ იშრომეს აგრეთვე მ. პაპუკაშვილის, ზ. კვინაკიძის, ვ. კოროტკოვას, ბ. ხეთაგუროვას მომმნინანქრებელთა, ნ. წერეთლის, ნ. ელიავას, დ. ბაბუციძის, ა. მუჭელიშვილის, ვ. დიდებაშვილის ამწყობ ზეინკალთა, ვ. პეტროვის შემფუთავთა ბრიგადებმა. დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია დაამზადეს დამკვრელებმა გ. დარსაველიძემ, ა. ბერძენიშვილმა.

გაზაპარატის ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა დამკვრელურად გამოაცხადოს საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გახსნამდე დარჩენილი დღეები. გავლილია ორი დამკვრელური დღე — დავალების გადამეტებით გამოშვებულია 100 გაზქურა.

მეათე პროდუქცია საუკეთესოა

წინასაყრილობო შეჯიბრების დღეებია თბილისის ქარხანა ელექტროგამშვებში, რომელიც დედაქალაქის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოო გაერთიანებაში „ელექტროაპარატში“ შედის. შეჯიბრებას ავანგარდში არიან საწარმოს კომკავშრომელები, რომლებსაც დამკვრელურად აქვთ გამოცხადებული საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამდე დარჩენილი დღეები და ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

ახალი ხუთწლედის პირველ დღეებში აქ დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია დამზადდა. დღიური დავალებები გადაჭარბებით გაანადგეს ამ სურათზე ასახულმა კომკავშირელმა გოგონებმაც; ყოველ ცვლაში თვითეულმა მათგანმა 2500-ის ნაცვლად 3.000 ცალი ხასიგნალო ნათურა დაამზადა.

სურათზე: კომკავშირელი ამწყობი ზეინკლები ნ. არჩვაძე (მარცხნივ) და მ. მაჩაიძე.

ვ. ბოგოსიანის ფოტო.

მოწინავეთა მაგალითით

გამოვუშვათ მხოლოდ მაღალხარისხოვანი ფეხსაცმელი, არ დავუშვათ ჩამორჩენა, — ამ დევიზით გაიხადა წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრება თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ (დირექტორი ვ. მამარდაშვილი) კოლექტივმა.

ოთხ იანვარს ყველა საამქრომ, ბრიგადამ და უბანმა დამკვრელურად იშრომა, ცვლის დავალებები გადაჭარბებით გაანაღდა, გამოშვებულია 3.850 წყვილი ფეხსაცმელი, გეგმა კი 3.800 ცალს ითვალისწინებდა.

ფაბრიკაში გულდასმით სწავლობენ 1976-1980 წლების სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებს, რომლებშიც დასახულია ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრი გაუმჯობესების პროგრამა. პარტიისა და მთავრობის ამ ზრუნვის პასუხად ბეკრმა შრომითმა კოლექტივმა გადიდებული ვალდებულება იკისრა.

კომკავშირულ-ახალგაზრდულმა მკერავთა ბრიგადამ, რომელსაც ლ. კუდუხოვა ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა იანვრის გეგმა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს, ხოლო კვარტალის გეგმის შესრულება სკკპ XXV ყრილობის გახსნის დღეს უპატაკოს.

მოწინავე ბრიგადის თაოსნობას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი გამომჭრელთა და მკერავთა იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ე. გალუსტოვა და ი. სტეფანოვა ხელმძღვანელობენ.

საწარმოში ყრილობების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება დღითიდღე ძლიერდება, ყველა ბრიგადა ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებს ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდ ფორუმს. (საკ. კორ.).

„მეცნიერება და კაცობრიობა — 1976“

გამოვიდა მორიგი ტომი წელიწდეულისა „მეცნიერება და კაცობრიობა“, რომელიც დათარიღებულია 1976 წლით. კრებული დევიზით „ხელმისაწვდომად და ზუსტად — მსოფლიო მეცნიერებაში მთავარის შესახებ“ შეიცავს ცნობილი საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერების 20-ზე მეტ სტატიას. ისინი ეძღვნება ბიოლოგიისა და კოსმონავტიკის, ფიზიკისა და მედიცინის, ისტორიის, ანთროპოლოგიის, ასტრონომიის მიღწევებს.

წიგნი ტრადიციულად იხსნება „კარით — „ადამიანი“, სადაც დაბეჭდილია სტატიები ბ. ვ. პეტროვსკისა — თანამედროვე ქირურგიის წარმატებათა შესახებ, ა. ი. სტრუკოვისა — რევმატულ-დაავადებებზე ახალ შეხედულებათა შესახებ, დ. ხ. ლიხაჩოვისა — ძველი რუსული ლიტერატურის დარგში აღმორჩენის შესახებ. ეჭვი არ არის, მკითხველი უყურადღებოდ არ დატოვებს ისეთ სტატიებს, როგორიცაა „შვილა კოსმოსში“ პ. კემპპელისა (ამერიკის შეერთებული შტატები) — ამ დარგის დიდი სპეციალისტისა, რომელიც არაერთხელ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში, „კოსმოსური აპარატები იკვლევენ მარსს: 1973-1974 წლების ხაბჭოთა ექსპედიცია“ — ვ. ი. მოროზისა.

კრებულის ფურცლებზე აისახა აგრეთვე მეცნიერული პუბლიკაციებს საერთაშორისო გაცვლა: წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ინგლისისა და შვეიცის მეცნიერთა სტატიები.

(საკ. კორ.).

ქართულ ენაზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ბროშურა, რომელშიც დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“.

ბროშურა გამოიცა მასობრივი ტირაჟით. (საქინფორმი).

ღაფანის რესურსები

უახლოეს წლებში შესაძლებელი გახდება გაორკეცდეს სპილენძის მადნის მოპოვება ღაფანში — ამიერკავკასიის უდიდეს საბადოში. ასეთი დასკვნა გამოიტანა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის კომპლექსურმა ექსპედიციამ, რომელმაც გამოიკვლია ამ რაიონში წიაღისეულთა განლაგება.

სპეციალისტებმა დაასაბუთეს სასარგებლო წიაღისეულის განლაგების კანონზომიერება და რეკომენდაცია მისცეს მოეწყოს ახალი მოედნები გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებისათვის.

ღაფანის სპილენძს ფართოდ იყენებენ ხელსაწყოთმშენებლობაში, რადიოელექტრონულ და ელექტრონტექნიკურ მრეწველობაში. (არმენპრესი).

ჩვენს დიად საბჭოთა ოჯახში



საბჭოთა კავშირის შავმეტალურგიამ მეცხრე ხუთწლედში თავის მძლავრ განვითარებას მიაღწია. 1975 წელს ფოლადის გამოდნობამ, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ხუთწლიანი გეგმით, 142 მილიონ ტონას გადააჭარბა. მნიშვნელოვნად გაიზარდა თუჯის, ფოლადის მილების წარმოება.

შავი მეტალურგიის მრეწველობაში ამჟამად კურსი აღებულია იმაზე, რომ შეიქმნას მძლავრი წარმოებები და აგრეგატები. უკანასკნელ წლებში აშენდა ხუთი ბრძმედი, სამი ელექტროღუმელი. მწყობრში ჩადგა მადნის მომპოვებელი წარმოებები.

• • •

სურათზე: ყარაგანდის მეტალურგიული კომბინატის ბრძმედი № 4.

ი. კუდინის ფოტო (ახალი ამბების საგენტო).

ეფექტურობა გაანადგეს

სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ღირსეულად შეხვედრის მიზნით ხაშურის რაიონის მშრომელებმა იკისრეს 1975 წლის მეოთხე კვარტალში წინა წელთან შედარებით 28 პროცენტით გაეზარდათ თვითეული საფურაქე ძროხის წველადობა, 10 პროცენტით შეემცირებინათ რძის თვითღირებულება და ამით მარტო მეოთხე კვარტალში დაეზოგათ 18.780 მანეთი, რძის სამუალო ცხიმიანობა გაეზრდათ 3,6 პროცენტამდე და სხვა. და მოწოდებით მიმართეს საქართველოს მეცხოველეებს, რესპუბლიკის მშრომელებმა ხაშურელებს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი.

ამ დღეებში ინიციატორებმა — ხაშურელებმა შეაჯამეს გაწეული შეშაობის შედეგები და ასეთი სურათი მიიღეს: 1975 წლის მეოთხე კვარტალში მიღებულია წინა წელთან შედარებით 157,6 ტონით მეტი რძე ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 144,5 ტონისა, ე.ი. მატება შეადგენს 27 პროცენტს, ყოველ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 1.402 ლიტრი რძე ნაცვლად წინა წელს მიღებული 1.242 ლიტრისა. წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაიზოგა 18.800 მანეთი, რძის ცხიმიანობა გაიზარდა 3,69 პროცენტამდე ნაცვლად ნაკისრი 3,6 პროცენტისა.

წლეულს ხაშურელი მეცხოველეები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ უფრო დაახვავონ მეცხოველეობის პროდუქტები — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა ჯ. ბედუკაძემ.

ოქტომბერი

ლონდონი. (საკდესი). ახალი წლის პირველი დღეები ჩრდილოეთ ირლანდიაში აღინიშნა ძალადობის ახალი გამოვლინებით.

გუშინ „ლო ინის“ სასტუმროში, რომელიც ირლანდიის საზღვართან მდებარეობს, აფეთქების შედეგად ჩვიდმეტი კაცი სერიოზულად დაშავდა. ამ სასტუმროში ეროვნული კონვენტი. მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს მასობრივი დაპატიმრებანი, რის შედეგად სიპატიმრეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში დამწყვდეულია ათასობით ურუგვაელი მოქალაქე, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი პროგრესული შეხედულებებით.

ოქტომბერი

ბუენოს-აირესი. (საკდესი). მონტევიდეოდან აქ მიღებული ცნობებით, ურუგვაის ხელისუფალნი განაგრძობენ ქვეყნის პატრიოტული და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ რეპრესიების ესკალაციას. რეპრესიების ძირითადი ობიექტები უწინდებურად არიან კომუნისტური პარტია, ურუგვაის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი, მშრომელთა ეროვნული კონვენტი. მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს მასობრივი დაპატიმრებანი, რის შედეგად სიპატიმრობასა და საკონცენტრაციო ბანაკებში დამწყვდეულია ათასობით ურუგვაელი მოქალაქე, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი პროგრესული შეხედულებებით.

რეპრესიების ესკალაცია

ოქტომბერი

მადრიდი. (საკდესი). ესპანეთის მშრომელნი აქტიურად იბრძვიან ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებისათვის, ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებისათვის. ინსტიტის მოთხოვნებს, რომლებიც ალიკანტეს პროვინციის მეტალურგებმა წამოაყენეს, მხარი დაუჭირეს ავრეთვე ესპანეთის უდიდესი მეტალურგიული კომპანიების „ალტოს ორნოს დე ბისკაის“ და „ალტოს ორნოს დელ მედიტერანეოს“ მუშებმა და ტექნიკოსებმა.

ქალაქ პამპლონის (ნავარის პროვინცია) შვიდი ათასზე მეტმა მცხოვრებმა ხელი მოაწერა სიპროტესტო პეტიციას, რომელიც მოითხოვს ინსტიტუტი შეუფარონ ყველა პატიმარს, რომლებიც პოლიტიკური მოტივებით ჩასვეს სიპყრობილეში. მშრომელთა პროვინციულმა საბჭომ ეს პეტიცია გაუგზავნა ესპანეთის სახელმწიფოს მეთაურს.

მთელ ქვეყანაში იმართება მასობრივი მანიფესტაციები ინსტიტის მოთხოვნის მხარდასაჭერად. მარტო ბილბაოში დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 5.000 კაცი.

ახალი გრანდიოზული ამოცანების შესრულება მოითხოვს მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის, მთელი საბჭოთა ხალხის დიდ შემოქმედებითს მეცადინეობას, შთაგონებულ აღმშენებლობითს შრომას.

პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

СКСС XXV ყრილობის

ხუთწლედის პროგლემები

უმესახვედრად

გამოცხადება • წინადადება

განვიხილავთ პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცკ-ის პროექტს „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“.

რეკონსტრუქციის გზით

მეათე ხუთწლედში უნდა განხორციელდეს ფოთის გემთშემკეთებელი ქარხნის სრული რეკონსტრუქცია, რისთვისაც გამოყოფილია რამდენიმე მილიონი მანეთი.

ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხნის კოლექტივისათვის ნაყოფიერი იყო ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. წლიური გეგმა შესრულებულია ყველა მაჩვენებლით. რესპუბლიკის 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ანგარიშში გამოშვებულია რამდენიმე ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

გემთშემკეთებლებს არც გემმშენებლები ჩამორჩენენ. შარშან შეიქმნა ყველა პირობა გეგმის ზევით აგებულშენებინა თბომავალი „კომეტა“. ეს კოლექტივის დიდი გამარჯვებაა. ხუთწლედის მანძილზე ორნახევარჯერ გაიზარდა თბომავლების აშენების რიცხვი.

როდესაც ანალიზს ეუკეთებთ გასულ პერიოდს, ვრწმუნდებით, რომ ქარხანაში ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი და მოუგვარებელი საკითხია. განვლილ ხუთწლედში ქარხანამ 1,5-ჯერ გაადიდა თევზსაჭერი ფლოტის შეკეთების მოცულობა და ფაქტიურად ამოწურა მისი შემდგომი ზრდის ტექნოლოგიური და საწარმოო საშუალებები. საზღვაო აკვატორიუმის შეზღუდულობა საშუალებას არ იძლევა გავაფართოვოთ დოკი. საკმარისი არ არის გემშმისადგომი ხაზი, რაც მარტო 1975 წლის გეგმის მხოლოდ 65 პროცენტით აკმაყოფილებდა, არ გაგვიჩნია ძრავების შესაკეთებელი საამქრო, ყველაფერი ეს ვკადერზებს და ახლა მხოლოდ შრომის უკეთესი ორგანიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, არსებულ ფართობების უკეთ გამოყენებისა და ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით შეიძლება წარმოების მოცულობის შემდგომ ზრდაზე ფიქრი.

მეათე ხუთწლედი ეფექტიანობის ხუთწლედია, ამიტომ ახლა მთავარ ყურადღებას გადაუწყვეტელ ამოცანებს ვაქცევთ. ამ მხრივ ქარხანაში ბევრი რამ კეთდება. ინერგება გემების შეკეთების კომპლექსურ-ეტაპური და გემების აშენების ნაკადურ-პოზიციური მეთოდი. წლევანდელი წლის პირველი დღიდანვე საწარმო გადაყვანილია სარემონტო ტიპიურ დოკუმენტაციაზე. შეიქმნება კომპლექსური ბრიგადები, მოხდება უბნების ვიწრო მიმართულების სპეციალიზაცია. ვფიქრობთ, ამ ღონისძიებებმა საგრძნობლად უნდა გაზარდოს საწარმოს ეფექტიანობა.

მეტად დიდი ამოცანები დგას ქარხნის წინაშე მეათე ხუთწლედში. დამტკიცდა ქარხნის რეკონსტრუქციის გეგმა, რისთვისაც გამოყოფილია რამდენიმე მილიონი მანეთი. მთლიანად შეიცვლება ქარხნის ძირითადი ფონდები, გაიზრდება გემმშენებლობის კომპლექსი, გაფართოვდება არსებული საწარმოო ფართობები, გადაწყდება ელექტრომომარაგების საკითხი. ქარხანამ მიიღო სააბაზანო დანადგარი 1978 წლისათვის აითვისოს და ააშენოს ახალი ტიპის გემი, ერთდროულად დაიტვირთ 250 მგზავრს და საათში 100 კილომეტრ სიჩქარეს განავითარებს. ეს ახალი სიტყვა იქნება ქართულ გემმშენებლობაში. რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ ქარხანა ყოველწლიურად გაადიდებს პროდუქციის გამოშვებას.

საგრძნობლად უნდა გაიზარდოს მომავალ ხუთწლედში ბინათმშენებლობა. ქარხნის მშრომელებმა უნდა მიიღონ 20 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აშენდება ახალი კეთილმოწყობილი საღამო სანატორიუმი 100 ადგილით, 300 კაცით მეტს დაიტევს ქარხნის სასადილოები. ახლა მთავარია ქარხანას გამოეყოს სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც ჩვენს გეგმებს ფრთას შეასხამს. ქალაქში ასეთი ორგანიზაცია არ არსებობს. საჭიროა მშენებლობის სამინისტრომ გაგვიწიოს ქმედითი დახმარება.

სასაყვედურო გვაქვს რესპუბლიკის მომარაგებასთან. სამმართველოს მიმართ, შარშან ამ ორგანიზაციამ 300 ტონა სხვადასხვა სახის ლითონი დაგვაკლო, რამაც გაართულა შარშანდელი გეგმების შესრულება. ასეთი რამ წელს აღარ უნდა განმეორდეს.

საწარმოს საამქროებში ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის. და გვჯერა, რომ ჩვენი კოლექტივი ახალი გამარჯვებებით შეხვდება კომუნისტთა დიდ ფორუმს.

ზ. არჩაიძე,
ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხნის დირექტორი.

მედიცინა

ბავშვები — დიდი საზრუნავი

ახალი ხუთწლედის პროექტში ნათქვამია, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, გაძლიერდეს დაავადებათა პროფილაქტიკა, ამაღლდეს სამედიცინო დახმარების ხარისხი და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში მუშაობის ორგანიზაციის დონე.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მთლიანად ვრცელდება „ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებზე. პროექტი დღის წესრიგში აყენებს მრავალპროფილიან და სპეციალიზებულ სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობის აუცილებლობას.

მეათე ხუთწლედში ამ მხრივ ჩვენში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდება. მწყობრში ჩადგება ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ახალი ნაგებობა, გაიხსნება ქუთაისის ბავშვთა მრავალპროფილიანი საავადმყოფო, თბილისში აშენდება 300-საწოლიანი ბავშვთა სომატიური და ინფექციური საავადმყოფოები, დამთავრდება ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს რეკონსტრუქცია, ახალ შენობაში გადავა სამხრეთ ოსეთის ბავშვთა საოლქო საავადმყოფო. განზრახული გვაქვს და უნდა მივაღწიოთ ბათუმისა და სოხუმის ბავშვთა საავადმყოფოების გამსხვილებას 120-საწოლიანი კორპუსების მიშენებით.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ბევრი დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება სივიწროვის გამო გადატვირთულია. ეს ქმნის არადამაკმაყოფილებელ სანიტარულ პირობებს, რაც ხელს უწყობს ახალშობილთა ინფიცირებას. ამატომაც მომავალ ხუთწლედში განსაზღვრულია აშენდეს 4 მსხვილი სამშობიარო სახლი ქ. თბილისში, რუსთავში, გორსა და ლაგოდეხში.

მეათე ხუთწლედში უფრო ფართო მასშტაბით გატარდება სპეციალიზებული კაბინეტების გამხვილება, რაც უკვე განხორციელდა ქ. რუსთავსა და ბათუმში.

ჩვენს აზრით, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების შემდგომი სრულყოფა მოითხოვს დედაქალაქში გაიხსნას 3-4 სრულყოფილი სპეციალიზებული ბავშვთა პოლიკლინიკა, სადაც მცირე სიმძლავრის კაბინეტების გაერთიანებით თავს მოიყრის ყველა პროფილის (უროლოგიური, ენდოკრინოლოგიური, ალერგოლოგიური, ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული და სხვ.) სპეციალიზებული მსხვილი კაბინეტები. ამ ღონისძიების გატარება უზრუნველყოფს სპეციალიზებულ ამბულატორიულ მომსახურებას მთელი დღის განმავლობაში. ამავამად კი იმის გამო, რომ სპეციალიზებულ კაბინეტებში ექიმი ნახევარ განაკვეთზე მუშაობს, დღის მერე ნახევარში ბავშვთა სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება ფაქტიურად წყდება. მართალია, სპეციალიზებული პოლიკლინიკების ჩამოყალიბება გაცილებით ადვილია სპეციალურად აგებულ შენობებში, მაგრამ ამის განხორციელება ახლაც შეიძლება — არსებული შტატებისა და კაბინეტების გადაჯგუფების გზით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო კურორტების ქვეყანაა, მაგრამ ბავშვთა სანატორიული ქსელი ჯერაც ვერ გაფართოვდა სათანადოდ, თუმცა მეათე ხუთწლედში განზრახულია ბაკურიანში აშენდეს 200-საწოლიანი ბავშვთა სანატორიუმი, მაგრამ დღემდე არ გაგვაჩნია სანატორიუმი ბავშვთა კუჭ-ნაწლავის, ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებათა სამკურნალოდ. ასეთ პირობებში ზაფხულის პერიოდში უფრო მეტი რაოდენობით უნდა გაიხსნას სანატორიული ტიპის პიონერთა ბანაკები, რომლებშიც ბალნეოლოგიური და კლიმატური ფაქტორების გამოყენებით შეიძლება ეფექტურად ვუმკურნალოთ სხვადასხვა ავადმყოფობით დაავადებულ ბავშვებს. უნდა გაფართოვდეს სპეციალიზებული სკოლების, დიფერენცირებული სკოლა-ინტერნატების და ჯგუფების, ბაგა-ბაღების ქსელი, სადაც სწავლების პროცესში გატარდება გამაჯანსაღებელი ღონისძიებები და სადაც გაიგზავნებიან ბავშვები რევმატიზმით, კუჭ-ნაწლავის, სასუნთქი სისტემის არატუბერკულოზური ქრონიკული დაავადებებით, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სხვადასხვა პათოლოგიით, სუსტი მხედველობით, სმენისა და მეტყველების დეფექტებით.

ბავშვთა ჯანმრთელობის განმტკიცება, ჯანსაღი თაობის აღზრდა მოითხოვს ბაგა-ბაღების ქსელის შემდგომ ზრდას, განსაკუთრებით სეზონური ბაგების გაფართოებას, რომელთა რაოდენობა რესპუბლიკაში ყოველწლიურად მცირდება. ეფიქრობთ, საჭიროა გაძლიერდეს ადგილობრივი საბჭოებისა და კოლმეურნეობებისადმი მომთხოვნელობა ამ მიმართებით, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს კეთილმოწყობილი, კარგად ორგანიზებული ბაგა-ბაღების ქსელის მაქსიმალურად გაშლა, ბავშვთა ავადობის თავიდან აცილება, შემცირება, დედის შრომის ნაყოფიერების გაზრდის უცილებელი პირობაა.

მოსაწესრიგებელია ხელოვნური და შერეული კვების ორგანიზაცია განსაკუთრებით სოფლად. საქართველოში დღემდე ვერ მოახერხეს კოლმეურნეობებმა, რომ ჩვილ ბავშვებზე უფასოდ გასცენ რძე, შექმნან სარძეო სამზარეულოები. მაშინ, როცა მთელ რიგ რესპუბლიკებში ყოველდღიურად უფასოდ რძე ეძლევათ არა, მარტო ჩვილი ასაკის ბავშვებს, არამედ დაწყებითი სკოლის მოსწავლეებსაც. კერძოდ საჭიროა, რომ ამ მიმართებით კოლმეურნეობებისადმი მომთხოვნელობა უფრო პრინციპული იყოს, ეს ღონისძიება გაცილებით უფრო შეუფერხებლად გატარდება, თუ ბავშვებზე გაცემული რძე კოლმეურნეობებს სახელმწიფო დამზადების გეგმაში ჩაეთვლებათ.

ჰარმონიულად განვითარებული ადამიანების აღზრდა მოითხოვს უფრო ფართოდ გავშლოთ სანატარული ცოდნის პროპაგანდა, ბავშვის მოვლის აღზრდის, კვების, ჰიგიენის საკითხების პროპაგანდა.

საჭირო იქნება გამოინახოს და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში დაინერგოს სანიტარული განათლების ახალი, მოწინავე ფორმები. ამ მხრივ მისაბაძია თბილისის ბავშვთა № 7 პოლიკლინიკის წამოწყება, — მაგნიტოფონზე ჩაწერილი სასიამოვნო მუსიკა და მოკლე ლექცია-საუბრების სისტემატური ტრანსლაცია; აგრეთვე ახალგაზრდა დედის სამახსოვროების ფართოდ გამოყენება, რასაც დიდი ხანია წარმატებით ანხორციელებს ბავშვთა № 9 პოლიკლინიკა.

გაუმჯობესებას მოითხოვს ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მომარაგება რძით და სრული ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი პროდუქტებით. აუცილებლად უნდა გაფართოვდეს სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი, სადაც იქნება ბავშვთა სანიტარულ-ჰიგიენური საგნებისა და კვების პროდუქტების ფართო ასორტიმენტი.

პედიატრიული სამსახურის გაუმჯობესებისა და სრულყოფის წამყვანი ძალაა კადრები. მეათე ხუთწლედში გაფართოვდება პედიატრთა კვალიფიკაციის ამაღლების, დახელოვნების, კლინიკური ორდინატურის სფერო.

სადღეისოდ პედიატრიული სამსახურის სპეციფიკა მოითხოვს საშუალო სამედიცინო კადრების განსაკუთრებულ მომზადებას, რაც გულისხმობს მაღალ კვალიფიკაციას და მაქსიმალურ სპეციალიზაციას. პირველ რიგში ამას უზრუნველყოფს საშუალო სამედიცინო სასწავლებლებში განსწავლული პედაგოგიური კადრების მოზიდვა და მისაღები კონტინგენტის უკეთესად შერჩევა.

მეათე ხუთწლედში გადაჭრით უნდა გაძლიერდეს იდეურ-პოლიტიკური მუშაობა. პედიატრთა დიდი უმრავლესობა სრული შეგნებით, კეთილსინდისიერად ემსახურება საშვილიშვილო საქმეს — მომავალი თაობის ჯანმრთელობის დაცვას. ბევრი ღვაწლმოსილი და ახალგაზრდა პედიატრი და მედდა ენთუზიაზმით, პასუხისმგებლობით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთებიც, რომლებიც მედიკოსის თეთრ ხალათზე შავლაქებს აწრნეულნ. ასეთ მოვლენებს, რა თქმა უნდა, მთელი სისასტიკით უნდა ვებრძოლოთ.

მეათე ხუთწლედის — ხარისხის ხუთწლედის დიდი მატერიალური და კულტურული შესაძლებლობანი გვაძლევს იმის გარანტია, რომ რესპუბლიკის ბავშვებს მაღალხარისხოვანი სამედიცინო დახმარება გაეწიოს.

მ. მჟედლიშვილი,
რესპუბლიკის მთავარი პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

მკითხველთა წინადადებები

მოწინავე მეთოდების დანერგვით

ზესტაფონელი მეკაბელეები ქარგა ხანია მეათე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ. კოლექტივის შრომა უფრო ცხოველმყოფელი გახდა სკკპ XXV ყრილობისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამ დღეებში ყველა მეკაბელე გულდასმით ეცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებს 1976-1980 წლებისათვის, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა.

დიდი ამოცანების წინაშე დგას ჩვენი ქარხანა ახალ ხუთწლედში. წინასწარი მონაცემებით 1980 წლისათვის პროდუქციის გამოშვება უნდა გავზარდოთ 21,5 პროცენტით. ამას მივაღწევთ ტექნიკური პროგრესის და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვით.

მომავალი ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედი უნდა იყოს, და არც ამ მხრივ დავრჩებით ვალში. ხარისხის სახელმწიფო ნიშნით გამოშვებული ნაწარმის ხვედრითი წილი 50 პროცენტამდე გაიზრდება.

მექანიზაციის, ავტომატიზაციის და ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვით პროდუქციის თვითღირებულებას 1976 წლისათვის შევამცირებთ 60 ათასი მანეთით, ხოლო მთლიანად ხუთწლედში — 410 ათასი მანეთით. ახალი სახეობის მასალების წარმოებაში გამოყენებით დავზოგავთ 350 ათას მანეთს.

მტკიცედ დავიცავთ ეკონომიურ რეჟიმს. მასალების, სათბობის და ელექტროენერგიის მომჭირნეობით წლეულს მივიღებთ 30 ათას მანეთ ეკონომიას, ხოლო მთლიანად ხუთწლედში 200 ათას მანეთს.

საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის დანერგვით ხუთწლედში 95 მუშას გამოვათავისუფლებთ მძიმე ფიზიკური შრომისაგან.

დ. კუხიანიძე,
ზესტაფონის კაბელის ქარხნის დირექტორი.

მანქანებს მეტი ყურადღება

ბესარიონის რაიონის ნაგვაზაოს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები დიდი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს პარტიის XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“. პროექტი ღრმად გვარწმუნებს, რომ მეათე ხუთწლედი იქნება დიად გარდაქმნათა ხუთწლედი.

პროექტის მიხედვით 1980 წლისათვის ჩაის ფოთლის წარმოება 355 ათას ტონამდე გაიზრდება. ამ ამოცანის შესრულებაში გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია მექანიზატორებს. პროექტში მართალია ნათქვამია მექანიზაციის გამოყენებაზე, მაგრამ ნაკლებად არის აღნიშნული ჩაის ფოთლის კრეფის მცირე და კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა. ამ საკითხის მოგვარებით შესაძლებლობა შეიქმნება მეჩაიეებს შევუმსუბუქოთ შრომა, ამასთან მათ მიიღონ მეტი და ხარისხიანი ფოთოლი.

ნაგვაზაოელმა კოლმეურნეებმა მეცხრე ხუთწლედი ყველა დარგში წარმატებით დამთავრეს. მაგრამ მეათე ხუთწლედში უფრო მეტი მუშაობაა საჭირო, რომ სოფლის მეურნეობის უხვი პროდუქტები შევქმნათ, ამისათვის საჭირო იქნება უფრო სრული დატვირთვით გამოვიყენოთ ტექნიკა. ხშირად ამის საშუალება არ არის, ვინაიდან ტრაქტორისა და სხვა ტექნიკის დაზიანებული ნაწილის შოვნა გვიძნელდება. „საქსოფლტექნიკამ“ და სხვა სათანადო ორგანოებმა აქედანვე უნდა იფიქრონ იმისათვის, რომ მუდამ გვქონდეს მანქანების, სამარაგო ნაწილები.

ა. ჯღარკავა,
ბესარიონის რაიონის ნაგვაზაოს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტრატეგიული ბრიგადის ხელმძღვანელი.

ჩემი აზრით

გაზაფხული გვისმობს



აქედანვე ემზადებიან

თელავის რაიონის ჩვიდმეტი მეურნეობა სარგებლობს თელავის სათესლე ლაბორატორიით. საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების პერიოდში ლაბორატორიის თანამშრომლები გულმოდგინედ ამოწმებენ რაიონის ცამეტი კოლმეურნეობის და ოთხი საბჭოთა მეურნეობის სათესლე ფონდს. უკვე გადარჩეულია სიმინდის, ლობიოს, შვრიის, მზესუმზირას და ესპარეტის ორი ათასამდე ცენტნერი კონდიციური თესლი, რაც თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

სათესლე ლაბორატორიის მუშაკები, რომლებიც ჩაბმული არიან სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებს ალსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ მეათე ხუთწლედის პირველი წლის უხვი მოსავლის მიღების საქმეში.

სურათზე: აგრონომი-ექტორი ლ. გაბუნია და ლაბორანტი ე. მაგულისაშვილი ამოწმებენ თესლის აღმოცენების უნარს.

ე. ეგნოვის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ოფიციალური განცხადება

დებულება საბჭოთა მეურნეობების ტრესტის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა დებულება საბჭოთა მეურნეობების ტრესტის შესახებ.

დებულებით დადგენილია, რომ საბჭოთა მეურნეობების ტრესტი ერთიანი საწარმოო-სამეურნეო კომპლექსია, რომელშიც შედიან საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები. ტრესტში შეიძლება შედიოდნენ აგრეთვე საწარმოები, რომლებიც ეწევიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამუშავებას, აწარმოებენ სამენ მასალებსა და კონსტრუქციებს, სახალხო მოხმარების საქონელს, აგრეთვე სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც საბჭოთა მეურნეობებისათვის ასრულებენ სპეციალიზებულ სახეობათა სამუშაოებსა და მომსახურებას.

ტრესტში შემავალი საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები და ორგანიზაციები ინარჩუნებენ დამოკიდებლობას და წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სამმართველოს პასუხისმგებლობა აკისრია საწარმოო-სამეურნეო კომპლექსის მდგომარეობისა და განვითარებისათვის, სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმის შესრულებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ტექნიკური დონისათვის, პროდუქციის ხარისხისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანი გამოყენებისათვის, საწარმოო სიმძლავრეთა დროული ამოქმედებისა და ათვისებისათვის, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვისა და საფინანსო დისციპლინისათვის.

დადგენილია, რომ საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სამმართველო ხელმძღვანელობს ტრესტში შემავალ საბჭოთა მეურნეობებს და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს და წარმოდგენს მათს ზემდგომ ორგანოს, ასორციელებს სამეურნეო საქმიანობას, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე, აქვს მის სახელთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი და წარმოადგენს იურიდიულ პირს.

საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სამმართველო, ხელმძღვანელობს რა ეკონომიკური მიზანშეწონილობით, ტრესტში შემავალი საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოების და ორგანიზაციების თანხმობით მთლიანად ან ნაწილობრივ აცენტრალიზებს ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულებას, კერძოდ პირუტყვის სუქებას, მდალპროდუქტიული ცხოველებითა და უშალესი რეპროდუქციის ჯიშიანი თესლით უზრუნველყოფას, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებას, ადგილობრივი საშენი მასალების წარმოებას, მოპოვებასა და დამზადებას, დეტალებისა და კონსტრუქციების დამზადებას, წარმართავს ტრესტში შემავალი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების საწარმოო-ტექნიკურ და სატრანსპორტო მომსახურებასა და სხვა სახეობათა საქმიანობას, რომელთა ცენტრალიზაცია ეკონომიკურად ხელსაყრელია.

ასეთი ფუნქციების ცენტრალიზებული განხორციელება შეიძლება დაეკისროს ტრესტის სამმართველოს, მოქმედ მეურნეობებს ან დადგენილი წესით ამ მიზნებისათვის სპეციალურად შექმნილ საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

დებულებით დადგენილია, რომ საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სამმართველოს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც ეკავლებათ საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზებული შესრულება, ტრესტში შემავალი სხვა საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების წინაშე ეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა ამასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებლობისა და არასათანადო შესრულებისათვის კანონმდებლობით ან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ საფუძველზე.

დადგენილია, რომ ტრესტის ძირითად სახეობას წარმოადგენს სპეციალიზებული ტრესტი, რომელიც აერთიანებს ერთი საწარმოო მიმართულების ან ერთმანეთთან საწარმოო-ტექნოლოგიური კოოპერაციით დაკავშირებულ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. ადგილობრივი პირობების მიხედვით შეიძლება შეიქმნას ტერიტორიული ტრესტები, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა საწარმოო მიმართულების საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს.

გათვალისწინებულია, რომ საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სამმართველოში შეიძლება შეიქმნას ცენტრალიზებული ფონდები და რეზერვები (მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდი, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და სანიბნო მშენებლობის ფონდი, მატერიალური წახალისების ფონდი, კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების რეზერვი). ზემდგომ ორგანოს შეუძლია ნება დართოს ტრესტის სამმართველოს შექმნას აგრეთვე სხვა ფონდები და რეზერვები. დებულებით დადგენილია აღნიშნული ფონდებისა და რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი.

დებულებით განსაზღვრულია საბჭოთა მეურნეობების ტრესტის უფლება-მოვალეობანი დაგეგმვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და პროდუქციის გასაღების, კადრების, შრომისა და ხელფასის, ფინანსების, კრედიტის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც აქვთ საბჭოთა მეურნეობების ტრესტები, წინადადება მიეცათ უზრუნველყონ საბჭოთა მეურნეობების ტრესტების წესდებათა შემუშავება და ორამტკიცება. საბჭოთა მეურნეობების ტრესტებისა [illegible]

მიწისქვეშა ლაბორატორიებიდან გაუმჯობესების ხარჯების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „კოლმეურნეობების მიწისქვეშა გაუმჯობესების ხარჯების სასოფლოფიზ ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებებს მიკუთვნების შესახებ“.

დადგენილია, რომ 1976 წლიდან ჭარბტენიანი რაიონების კოლმეურნეობებში დასურული დრენაჟის, ღია შიდასამეურნეო დასაშრობი ქსელის მშენებლობისა და გარდაქმნის, ტყისა და ბუჩქნარის ამოძირკვის სამუშაოები და სხვა კულტურულ-ტექნიკური სამუშაოები, აგრეთვე აღნიშნული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები გაიღება სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე, რომელიც გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო გეგმებით წყალსამეურნეო მშენებლობისათვის.

მწყობრში ჩადგა კრასნოდარის წყალსაცავი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო სასელმწიფო კომისიის წინადადება მდინარე ყუბანზე 3,1 მილიარდი კუბური მეტრი ტევადობის კრასნოდარის წყალსაცავის საექსპლუატაციოდ გადაცემის შესახებ. ყველა ნაგებობამ სასელმწიფო კომისიის მაღალი შეფასება ღაიმსახურა. კერძოდ, აქ ქვეყანაში პირველად აშენდა მთლიანად ავტომატიზებული თევზსაწყი ნაგებობა, რომელიც უკვე ორი წელია ეფექტიანად მუშაობს.

წყალსაცავი დადგენილ ვადაზე ერთი წლით ადრე გადაეცა საექსპლუატაციოდ. იგი საშუალებას იძლევა დაჩქარებული ტემპით მნიშვნელოვნად გაიზარდოს ბრინჯის წარმოება კრასნოდარის მხარეში და მთლიანად აღმოფხვრის მდინარე ყუბანის ქვედა წელში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და დასახლებული პუნქტების წალეკვის საფრთხეს.

მაღლდება შესადუღი წარმოების ეფექტიანობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „შესადუღი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების შესახებ“.

დადგენილებით განსაზღვრულია კომპლექსური პროგრამა, რომ კიდევ უფრო განვითარდეს შესადუღი წარმოება, შეიქმნას და გაუმჯობესდეს შესადუღი კონსტრუქციები, რათა დაიზოგოს ლითონი და ამავე დროს ამაღლდეს ამ კონსტრუქციების საიმედოობა და ხანგრძლივობა, კერძოდ, დაბალი ტემპერატურების პირობებში მათი ექსპლუატაციის დროს.

სსრ კავშირის მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ უზრუნველყონ 1976-1980 წლებში შესადუღი კონსტრუქციების ახალი სპეციალიზებული საწარმოებისა და საამქროების დაპროექტება, მშენებლობა, მოქმედთა გაფართოება და რეკონსტრუქცია.

დაწესებულია 1976-1980 წლებში შესადუღი კონსტრუქციების, შედუღებისათვის საჭირო მოწყობილობისა და მასალების წარმოების გადიდების, აგრეთვე შესადუღ მოწყობილობისა და შესადუღი მასალების ჰიგიენური მახასიათებლების გაუმჯობესების, შესადუღ წარმოებაში მომუშავეთა ინდივიდუალური დაცვისათვის საჭირო ახალი ეფექტიანი მასალების, ქსოვილებისა და საშუალებების შემუშავებისა და სერიული წარმოების ათვისების დავალებანი.

დადგენილება ითვალისწინებს აგრეთვე მთელ რიგ სხვა ღონისძიებებს მანქანებისა და მოწყობილობის ლატალების დამზადებისა და რემონტის დროს შედუღებისა და დადუღების მეთოდების გამოყენების გასაფართოებლად.

ახალი გზახიდები

სსრ კავშირის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1976-1980 წლებში აშენდეს 4 გზახიდი ქალაქ მოსკოვის მისადგომებთან საავტომობილო გზებისა და რკინიგზების გადაკვეთაზე: პოვაროვოს სადგურის რაიონში მოსკოვ-ლენინგრადის საავტომობილო გზაზე, ქალაქ დმიტროვთან დმიტროვის გზატკეცილზე, ოტრადნოეს სადგურის რაიონში მოჟაისკის გზატკეცილზე და ნოვი იერუსალიმის სადგურის რაიონში ვოლოკოლამსკის გზატკეცილზე.

ეს გზახიდები აიგება იმ გზახიდების დამატებით, რომელთა მშენებლობა გათვალისწინებულია იმავე პერიოდში ეგორიევსკის, როგაჩოვსკის, დმიტროვის, მოჟაისკისა და კაშირის გზატკეცილებზე პანკის ლობნის, ტურისტის, ტრიოხგორკისა და დომოდედოვოს რკინიგზის სადგურების მახლობლად.

გზახიდების მშენებლობა დაეკისრა სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს. (საკდესი).

გამოფენა მუზეუმში

მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „სევრის ფაიფური“.

სევრის ეროვნული მანუფაქტურის მუზეუმის ფაიფურის ძვირფასი და თანამედროვე 150 ნაწარმის ექსპოზიცია პირველად არის წარმოდგენილი ჩვენს ქვეყანაში. გამოფენა მოიცავს პერიოდს XVIII საუკუნის ბოლოდან ჩვენს დღეებამდე. გულგრილად ვერ შეხედავ ბრწყინვალედ შესრულებულ, მდიდრული შეფერილობის სერვიზებს, კედლის საათებს, საწერ მოწყობილობას, სამაგიდო ჭანრობრივ კომპოზიციებს, ლითოგრაფიებს, მინიატიურულ ქანდაკებებს.

გამოფენის სტენდებზე წარმოდგენილია XVIII საუკუნის საინტერესო საარქივო დოკუმენტები, აგრეთვე ექსპონატები, რომლებიც XIX საუკუნეს განეკუთვნება, — „დეპლიუსის“ და მარლი ლიადეის“ თეფშები, ფაიფურის ნაკეთობანი, რომლებიც ძველებური ნიმუშებით არის შესრულებული. მნახველთა თვალს იტაცებს ოქროთი მოვარაყებული ვაზები „მეიჩი“, „ლანსელი“, ჩაის სერვიზი „პეირი“, გედებიანი სამაქრე და ეგვიპტური სერვიზის საწერი მოწყობილობა.

ფრანგულ კოლექციას მშვენივრად ავსებს სევრის ნაკეთობათა უძველესი ნიმუშები, რომლებიც

ფაიფურის ვერნისაჟი

საბჭოთა მუზეუმების მიერ არის წარმოდ

მსოფლიო ფაქტები

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკვანძო და უცხოეთის პრესის საგანგებო იტყობინებიან

შეუქცევადი პროცესი

კოლომბო, (საკვანძო) განვლილი 1975 წელი აღსავსე იყო დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენებით, წერს კოლომბოს პროგრესული გაზეთი „ატა“, რომელიც აკრიტიკებს წლის პოლიტიკურ შედეგებს. საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში ძველ განმსაზღვრელი ტენდენციათა იყო დაძაბულობის შენელება, მშვიდობის მებრძოლთა საქმიანობის გააქტიურება. ამ ტენდენციის შემდგომ განმტკიცებაში მთავარ როლს ასრულებდა მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ურყევი პრინციპების ერთგული საბჭოთა კავშირი.

ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირს, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა, განაგრძობს გაზეთი. ნეგენ აზრით, თათბირი ომისშემდგომი წლების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ფორუმი გახდა.

ჰელსინკში მიღწეული შეთანხმება ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ ჩინებულ მაგალითს წარმოადგენს დედამიწის სხვა რაიონების ხალხებისათვის.

წარმატებებმა, რომლებიც შარშან მოიპოვეს სოციალიზმის ქვეყნებმა, ერთხელ კიდევ დამაჯერებლად დაადასტურეს სოციალისტური სისტემის უდავო უპირატესობანი „კაპიტალისტური სისტემის წინაშე, წერს „ატა“.

ახლო აღმოსავლეთის — მყარი მშვიდობა

ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება

რომი, (საკვანძო). ისრაელის მთავრობის გადაწყვეტილება, რომ ბოიკოტი გაუწიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომას, რომელიც დანიშნულია მომდინარე წლის 12 იანვარს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით ახლო აღმოსავლეთის პრობლემის განსახილველად, ეწინააღმდეგება მშვიდობის ინტერესებსა და ისრაელის ნამდვილ ეროვნულ ინტერესებს, ნათქვამია ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც ტელ-ავივში გამოქვეყნდა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს გადაწყვეტილება მოწმობს ისრაელის მმართველთა სრულ უპასუხისმგებლობას და იმ პოლიტიკის შედეგია, რომელიც უარყოფს პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ ეროვნულ უფლებებს, მისი თვითგამორკვევისა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლებას.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პალესტინის საკითხის გადაუჭრელად მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში ვერ იქნება მიღწეული, ხოლო პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შეუძლია გადაწყვეტოს პალესტინის საქმე. სამართლიანი მშვიდობა

□

გრიგალი ევროპაში

ლონდონი. (საკვანძო). უმაგალითო ძალის გრიგალმა, რომელმაც ჩრდილოეთ ევროპას გადაუარა, დაანგრია უამრავი სახლი, მოშალა საავტომობილო და რკინიგზის მოძრაობა, დაარღვია კავშირგაბმულობა.

ორმოცკმეტ კაცი დაიღუპა, ასობით ადამიანი დაშავდა და დასახიჩრდა. ინგლისში, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა ამ სტიქიური უბედურებისაგან, დაიღუპა 24 კაცი. 11 კაცი დაიღუპა დასავლეთ გერმანიაში, მსხვერპლი არის საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, დანიაში.

ძლიერმა შტორმმა, რომელიც ჩრდილოეთის ზღვაში ამოვარდა, დაანგრია საცავი ნაგებობანი ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, რის შედეგად მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დატბორილია.

ქვეყნისათვის მიყენებული საერთო ზარალი, პოლიციისა და სადაზღვეევო კომპანიების ცნობებით, 100 მილიონ გირვანქა სტერლინგს აღემატება. მეტეოსამსახურმა ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონების მოსახლეობა გააფრთხილა, რომ უახლოეს დღეებში მოსალოდნელია უძლიერესი წყალდიდობა. მცხოვრებთა ნაწილი გახიზნეს.

გახიზნულია აგრეთვე ჰოლანდიის ტექსელის კუნძულის, იუტლანდიის ნახევარკუნძულის დანიის ნაწილის მოსახლეობა (სულ 20 ათასზე მეტი კაცი), სადაც ძლიერმა ქარმა დაახიანა ჯებირები და კაშხალები.

გრიგალმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ზღვისპირა ნაგებობებს ბელგიაში,

დასავლეთ გერმანიაში გარღვეულია ნორდკედინგენში (ქვემო საქსონიის მხარე) აგებული დროებითი კაშხალი. დატბორილია კრაუტზანდის კუნძული ელბის შესართავში და იქვე მორიახლოს მდებარე დასახლებული პუნქტი დროჰტერზენი.

ბერლინი. (საკვანძო). ჯრიგალმა, რომელმაც ბერლინსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა რაიონებს გადაუარა, მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი გამოიწვია, იუწყება ადნ-ის საგენტო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში დაზიანებულია 200-ზე მეტი სახლის სახურავები, მოთხრილია ხეები. ქალაქის მთელ რიგ რაიონებში დროებით შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა..

საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლა დარღვეულია აგრეთვე მაგდებურგის, ოდერის ფრანკფურტის, ჰალეს ერფურტის, პოტსდამის, ლაიფციგისა და ზუელის ოლქების ცალკეულ ადგილებში.

ამჟამად გაჩაღებულია აღდგენითი სამუშაოები. გრიგალის შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეობენ გერმანიის სახალხო პოლიციის რაზმები, სახანძრო რაზმები, მოსახლეობა.

ალფფოთეგა და გულისწყრომა

ლონდონი, (საკვანძო). ბრიტანეთის კუნძულებზე ფართოდ ვდება საპროტესტო მოძრაობა იმ სასტიკი რეპრესიების წინააღმდეგ, რომლებსაც ჩილეს ხუნტა სჩადის თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლებისა და მათ თანამგრძნობ პირთა მიმართ. ქვეყნის საზოგადოებრიობის გულისწყრომა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ხუნტის დილეგებში აწამეს ინგლისელი ექიმი ქალი შეილა კესადი. იგი დაატყვევეს 1975 წლის 1 ნოემბერს ინფორმაციის, რომ სამედიცინო დახმარება გაუწია ფაშისტური ტერორის მსხვერპლთ. ყსოფლიოს საზოგადოებრიობის ზეგავლენით შ. კესადი მხოლოდ დეკემბრის დასლევს გაათავისუფლეს.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ვენერალურმა მდივანმა ჰ. მაკლენანმა საგარეო საქმეთა მინისტრს დ. კალაგენს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვა, რომ ინგლისმა გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა ჩილეასთან და დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სხვა ეკონომიკური და ფინანსური კავშირი ხუნტასთან. ექიმ კესადისადმი სასტიკი მოპყრობა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ჩილეს ფაშისტური ხუნტა ადამიანურ ღირებულებებს, ამ რეპრესიების პირველი მსხვერპლნი ხდებიან ფაშისტური რეჟიმის მოწინააღმდეგენი, განაცხადა ჰ. მაკლენანმა.

შ. კესადი პირველი ინგლისელი ქალი როდია, რომელიც ჩილეს დილეგებში აწამეს, წერს „სანდი ტაიმსი“. ფაშისტური ხუნტის დილეგებში აწამეს ჩილელი ინჟინრის ცოლი ინეს ბრისტოლელი და მისი ორი შვილი. წამებით სიკვდილს პინას მიიყვანეს კათოლიკე მღვდელი მაიკლ ვუდუორდი. წამების შედეგად ძლიერი სიდამწვრე მიიღო დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ყოფილი გენერალური მდივნის ვალმა ბრაიან პოლიტმა.

ჩილეს საიდუმლო პოლიციის აგენტები, აღნიშნავს „სანდი ტელეგრაფი“, თვითნებურად აჩერებენ ადამიანებს, სასტიკად სცემენ მათ. ვიცით რა საქმის მდგომარეობა ჩილეში, აღნიშნავს გაზეთი, შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ: კესადი უცხოელი რომ არ ყოფილიყო, იგი მზის სინათლეს ვეღარ იხილავდა.

მსარდაჭერის დიდმნიშვნელოვანი ფორმა

კაირო. (საკვანძო) აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაცია მოუწოდებს აფრიკის ქვეყნებს, რომლებსაც ჯერ არ უცვნიათ ანგოლის სახალხო რესპუბლიკა, ცნონ იგი და მოითხოვონ, რომ ანგოლის ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ და უთუოდ გაიყვანონ უცხოეთის იმპერიალისტური და ნეოკოლონიალისტური ჯარები, რომლებიც არღვევენ ანგოლის ხალხთა რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

ეს ნათქვამია აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის აქ გავრცელებულ მიმართვაში აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრ აფრიკულ სახელმწიფოთა მეთაურებისადმი. იმასთან დაკავშირებით, რომ იანვარში ადის-აბებაში იხსნება აფრიკის ქვეყნების ორგანიზაციის საკანონმდებლო თათბირი უმაღლეს დონეზე ანგოლის პრობლემის შესახებ; მიმართვას ხელს აწერს აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის გენერალური მდივანი იუსეფ ეს-სიბაი.

მსოფლიო ფოტოოგიექტივში

პორტუგალიის სამხრეთში მდებარე ალენტეჟუს პროვინციის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „წითელ ვარსკვლავში“, რომელიც რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გაიხსნა, გლეხების დასახმარებლად ჩავიდნენ მუშები (ხურათზე). უქმე დღეებში ისინი უფასოდ მუშაობენ მინდვრებსა და ბაღებში.

საკვანძოს ფოტო.

კულტურის ქრონიკა

ფოტოგამოფენა „საბჭოეთის ქალები“

ნიუ-იორკი. (საკვანძოს კორ.). დიდი პოპულარობით სარგებლობს აქ გახსნილი ფოტოგამოფენა „საბჭოეთის ქალები“, ასზე მეტი ფოტოსურათი ასახავს ქალების დიდმნიშვნელოვან როლს საბჭოთა კავშირის ცხოვრების ყველა დარგში სახალხო მეურნეობასა და ხელოვნებაში, განათლების სისტემასა და სპორტში, სტენდებზეა ყველასათვის ნაცნობი სახეები — მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ნიკოლაევა ტერეშკოვა, გამოჩენილი ბალერინა გალინა ულანოვა, აგრეთვე ქალები — მუშები და მასწავლებლები, ექიმები და მწერლები, რომლებიც მამაკაცების მხარდამხარ იცავდნენ ქვეყანას ფაშისტებისაგან დიდი სამამულო ომის წლებში. ეს ექსპოზიცია, რომელიც ამერიკის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მოაწყვეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, მოწყობილია ნიუ-იორკის რერიხის სახლობის მუზეუმში.

სპორტი

ყველა კონტინენტიდან

● **ბერნი. „დამსხვრეული იმედების“ წელი უწოდა განვლილ წელს გაზეთმა „ნოიე ციურხერ ციტუნგმა“. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ 1975 წელი შვეიცარიისათვის ყველაზე მძიმე ეკონომიკური კრიზისის წელი იყო ომისშემდგომ პერიოდში.**

● **რანგუნი. აქ გამოაცხადეს, რომ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ სასაზღვრო ოლქებში ბირმის არმიის ოპერაციის შედეგად შეპყრობილია 43 და დახოცილია 39 ჩინელი ოპიუმით მოვაჭრე. დიდძალი იარაღი ჩამოერთვათ ბანდიტებს, რომლებიც ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხაშხაშს მოსაყვანად და ბირმის საზღვრებს გარეთ ნარკოტიკების გასატანად იყენებდნენ ძნელად მისადგომ მთის რაიონებს.**

● **ტოკიო. ახლანდელმა ყველაზე გაქიანურებულმა და ყველაზე დიდმა ეკონომიკურმა კრიზისმა იაპონიაში დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის დემოგრაფიულ ვითარებაზეც. 1975 წელს შობადობა იაპონიაში მკვეთრად შემცირდა. 110 მილიონზე მეტ მოსახლეზე დაიბადა მხოლოდ 1,9 მილიონი ბავშვი. როგორც თავის მოხსენებაში აღნიშნავს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, შშოლები ახლა უფრიარეს ყოვლისა, ეკონომიკურ მოსაზრებათა გამო, უარს ამბობენ, რომ ოჯახში იყოლიონ მეორე და მესამე ბავშვი.**

● **რიო-დე-ჟანეიროში, 1975 წელს ბრაზილიაში მეთოთხმეტედ მოხდა ეროვნული ფულადი ერთეულის — კრუზეიროს დევალვაცია, რის შედეგად მისი მყიდველობითი უნარი 29,4 პროცენტით შემცირდა.**

ბგერაზე ორჯერ უფრო სწრაფად

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი მოგვითხრობს მსოფლიოში პირველი ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავის ტუ-144-ის პირველი სამგზავრო რეისის შესახებ

□

ამ მოვლენას ზუსტად შვიდ წელიწადს ელოდნენ, 1968 წლის 31 დეკემბრის ღირსსახსოვარი დღის იმ დილის შემდეგ, როცა მფრინავმა -გამომცდელმა ედუარდ ელიანმა პირველად აიყვანა ცაში ზებგერითი სამგზავრო ლაინერი ტუ-144, 69-ის აპრილში მანვე გადალახა ამ თვითმფრინავით ბგერითი წინაღობა, ხოლო 70-ის 15 ივლისს მიაღწია ბგერის ორმაგ სისწრაფეს, ესე იგი საათში 2400 კილომეტრს. ეს დღე შეიძლება ისტორიულ დღედ ჩაითვალოს, რადგან სამოქალაქო ავიაციაში ზებგერითი თვითმფინავის გამოჩენა ისეთივე რევოლუციას ნიშნავდა, როგორც რეაქტიული მანქანებით ხრახნიანი აეროპლანების შეცვლა იყო. ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ პირველი რეაქტიული სამგზავრო ლაინერიც ტუპოლევის სახელგანთქმული „ბუდიდან“ აფრინდა. ეს იყო სულ რაღაც 20 წლის წინათ, 1956 წელს, როცა აეროფლოტის ტრასებზე გამოვიდა ტუ-104. მას შემდეგ იყო გიგანტი ტუ-114, რომელმაც გრანპრი მიიღო ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე, ტუ-134, ტუ-154 და აი საბოლოოდ აკადემიკოს ა. ნ. ტუპოლევის უკანასკნელი ქმნილება, მისი „ოქროს სიმღერა„. ახლა საკონსტრუქტორო ბიუროს მისი შვილი ა. ა. ტუპოლევი განაგებს. სწორედ იგი აციცლება პირველ რეგულარულ რეისში, პირველ ზებგერით სამგზავრო თვითმფრინავებს. იქვე გვერდით იდგა ტუ-144-ის „ნათლია“ — ელიანი.

დომოდედოვო, 20 დეკემბერი, 8.00 . ცივი, კრიალა დილა. ბეტონის ბილიკებზე სიბნელიდან გამოჩანს კარგად ნაცნობი, თვალსაჩინოული ილეზისა და ტუპოლის სილუეტები და მათგან მკვეთრად გამორჩეული, ჯანუმეორეული შესახედაობის ორი 144-, გვერდ-გვერდ მდგარი. ერთი ალმა-ათაში გაფრინდება, მეორე მისი დუბლიორია.

გამოთხოვება, რბილად დაჯდომის სურვილები და აი მგზავრები ადგილებს იკავებენ სალონში, ხოლო ეკიპაჟის მეთაური, დამსახურებული მფრინავი-გამომცდელი ივანე ვედერნიკოვი, მფრინავი-გამომცდელი ვლადისლავ პოპოვი, ბორტ-ინჟინრები იგორ მაიბოროდა და ანატოლი ტარარუხინი პილოტების კაბინაში შედიან.

აამუშავეს ძრავები, თვითმფრინავი ნელა დაიძრა ასაფრენი ზოლისაკენ. გასცეს კომანდა: „აფრენის ნებას გაძლევთ“ და ფოლადის ვეება მანქანა წინ გაკანდა.

შემდეგ ყველაფერი ჩვეულებრივად წარიმართა. და რამეთი თუ განსხვავდებოდა, ვთქვათ ტუ-154-ის ფრენისაგან, მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიური განცდით: რაც არ უნდა იყოს, არ გვავიწყდებოდა, რომ ზებგერითში ვიჯექით.

არავის შეუმჩნევია, თუ როგორ მოხდა ეს, თუმცა ჟურნალისტებმა ვთხოვეთ ადრევე გაგვაფრთხილეთ-თქო. პოპოვმა მხოლოდ ესა თქვა რადიოთი „ეადავლასეთ ბგერითი წინაღობა“, ეს მოხდა 11 ათასი მეტრის სიმაღლეზე, აფრენიდან 15 წუთის შემდეგ. კიდევ 15 წუთიც და პოპოვმა ისევ მოკლედ გვაცნობა, რომ მივაღწიეთ ბგერის ორმაგ სიჩქარეს. სიმაღლე 16 ათასი მეტრია. ამის შემდეგ 82 წუთს მივფრინავდით საათში 2200—2300 კილომეტრი სიჩქარით და ყველაფერი ეს იმდენად ჩვეულებრივად მიდიოდა, რომ რეპორტიორულად საწყენიც კი იყო. რა უნდა დაგეწერა. ბაგრამ აი გამოცდის წაადაკადა ინჟინერმა ნიკოლოს ჭრიტაევმა ძითხრა — სიურპრიზი უნდა გიძღვნაო და მოხოვა, თან გავყოლოდი.

სათადარიგო გასასვლელთან შრატაევმა კარის სასელურზე მიმითითა და თქვა: „შეახეთ ხელი“. ხელი მოვკიდე, ფეთბილა. ქიმს მიღმა ხმ გრადუსი ყინვაა, ხოლო თვითმფრინავის გარსამოსი ხახუნისაგან პლუს 120 გრადუსამდე გაცხელებულიყო...

აი როდის განვიმსჭვალე იმის შეგნებით, რომ მართლაცდა უჩვეულოდ მიმდინარეობდა ფრენა.

შრატაევი მეზავრად მოფრინავს. მასთან ერთად არის კიდევ გამოცდის რამდენიმე ინჟინერი. ესეც აეროფლოტის ტრადიციაა. პირველ რეგულარულ რეისში ჟურნალისტებთან ერთად გამემზავრნენ ისინიც, ვინც „ფრენის ასწავლიდა“ ტუ-144-ს. ჩვენთან ერთად კიდევ ორი ბორტინჟინერია — ალექსი ტროეპოლსკი და ვიაჩესლავ ბენედიქტოვი. ისინი სხვა ეკიპაჟიდან არიან, მაგრამ მეგობრობის ხათრით გამოგვყვნენ. სულ რეგულარული რეისებისათვის უკვე მომზადებულია აეროფლოტის სამი ეკიპაჟი. ბენედიქტოვს ვკითხე, რომელ თვითმფრინავებზე გიფრენია ადრე და ძნელი ხომ არ იყო გადაჩვევა.

— მიფრენია ტუ-104-ით, ტუ-114-ით, ილ-62-ით, — მიამბო მან. — ილით პირველი რეისიც კი შევასრულე მოსკოვიდან ალმა-ათაში. მგონი, ეს იყო 1966 წელს. 1970-ში ტუ-144-ზე გადამიყვანეს. რა შემიძლია ვთქვა? მომიხდა ბევრი რამ უბრალოდ თავიდან შეცვლა. მაგალითად, ისეთი დისციპლინები, როგორიც არის ზებგერითი სიჩქარეების აეროდინამიკა, ავტომატური მართვის თეორია, ელექტრონული ავტომატიკა და ა. შ.

ხომალდის მეთაურს ვთხოვე, პილოტების კაბინაში შესვლის ნება დაერთო. მართვის პულტი არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივისაგან. გამახსენდა ერთი ინჟინრის ნათქვამი: „თითქმის მთელი აღჭურვილობა უშტატოო“, ე. ი. იმდენად ბევრია ახალი კვანძი, აგრეგატი, ხელსაწყო, რომელიც ძველ თვითმფრინავებზე არ ყოფილა და ყველაფერი ეს იმიტომ, რომ ტუ-144 ხარისხობრივად ახალი საფრენი აპარატია...

16 კილომეტრიდან დაწყებული დახრილად მივიწევთ ზევით, თითქმის 18 კილომეტრიან სიმაღლემდე. წვეულებრივ 12 კილომეტრ სიმაღლემდე საატრანსპორტო თვითმფრინავების ფრენა სრულდება მოძრაობის სამსახურის მიერ მკაცრად მიცემულ სიმაღლეზე, ეგრეთწოდებულ ეშელონზე. ეს ისევეა, როგორც მიწაზე — მარცხენა მხარეს მოძრაობის წესი, მაგალითად. ზებგერითებს კი სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია — იკაო — უფლებას აძლევს იფრინონ თავისუფალ ეშელონზე, ან როგორც ავიატორები ამბობენ ხოლმე „იფრინონ ჭერზე“, ე. ი. სიმაღლე აიღონ საწვავის ხარჯვის მიხედვით. ეს მანქანის ეკონომიურობას 6-10 პროცენტით ზრდის, ვიდრე იმ შემთხვევაში, მკაცრად მიცემულ ეშელონზე რომ ეფრინა. რაც უფრო მაღალია „ჭერი“, მით უფრო ნაკლებია ატმოსფერული წვეთა, მით უფრო ნაკლებია თვითმფრინავის წინააღმდეგობა და ანადგურებს საწვავიც ნაკლები იხარჯება.

ზებგერითზე ბევრი ისეთი ფაქტორია, რომლებსაც ბგერამდელი სიჩქარეების დროს პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ, აქ კი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენენ. მაგალითად, ილ-62 მთელ გაფრენას ერთ რეჟიმზე ასრულებს, ხოლო ტუ-144 ექვს ასეთ რეჟიმს იცვლის ერთ რეისში: ბეგრამდელ რეჟიმს, ტრანსბგერითს (1000-1200 კილომეტრი საათში) და ზებგერითს, ხოლო შემდეგ სამივეს შებრუნებული რიგით. და ყოველთვის, ერთი რეჟიმიდან მეორეზე გადასვლისას იცვლება ბევრი დამახასიათებელი ნიშანი, ისეთები, როგორიც არის, მაგალითად, დაცენტრა, იგი ხორცელდება ორიგინალური ხერხით — თვითმფრინავის ბოლო ნაწილიდან საწვავის ცხვირისაკენ გადაქაჩვით და პირიქით. გადაქაჩვას (ისევე როგორც ფრენის მთელ რეჟიმს) არეგულირებს ელექტროგამოთვლელი მანქანა.

ავტომატიზაცია დაყვანილია ამ ზომამდე, რომ ტუ-144-ს შეუძლია აფრინდეს უპილოტოდაც. ჩვენს რეისში „ავტოპილოტით“ მივფრინავდით მხოლოდ ზებგერითს უბანზე, ხოლო დანარჩენი ოპერაციები ხელით სრულდებოდა. „დაე ივარჯიშონ, — თქვა მაიბოროდამ. — პილოტები ისე უნდა „განმსჭვალონ“ თვითმფრინავით, რომ ავტომატიკამ თუ უცებ უფალტათ, თვითონ უნდა იმოქმედონ ავტომატებივით“.

მაგრამ ეს „უცებ“ ნაკლებად დასაჯერებელია. ტუ-144-ზე იყენებენ მართვის 4-არხიან სისტემას. თვითმფრინავის სიცოცხლისუნარიანობით ყველა ძირითადი სისტემის ასეთი მრავალეზის რეზერვირება მთავარი გარანტიაა წარმატებით ფრენისა. მაგრამ შეიტანეს დაგვიზუსტა რომ ოთხივე სისტემა ერთდროულად მუშაობს და არა იმის მიხედვით, ერთი თუ გამოვა წყობიდან მას მეორე შეცვლის.

„ხატოვნად რომ ვთქვათ, — მითხრა მან, — ყველა სისტემა შეწყობილად მუშაობს.

ტუ-144-ის აბსოლუტური საიმედოობა დამტკიცებულია ტიპის საფრენი ვარგისიანობის სერტიფიკატით, რომელიც მას მისცა სახელმწიფო საავიაციო რეგისტრმა იკაოს წარდგინების საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სერტიფიკაციური თვითმფრინავი უპასუხებს საიმედოობის და უსაფრთხოების ყველა მოთხოვნას და იღებს საგზაურო ავიოხაზებზე რეგულარული ექსპლოატაციის უფლებას.

მიუხედავად მთელი სირთულისა, ტუ-144 იმავე დროს ბგერამდელი სიჩქარით ფრენისას ისეთივე უბრალოა, როგორც ყველა სხვა თვითმფრინავი. აფრენასა და დაჯდომას იგი ამდენს ჩვეულებრივ ზოლზე. როცა იგი გარს უვლის აეროდრომს, მისი სიჩქარეა 350 კილომეტრი, ხოლო გლისადის დროს, ე. ი. უშეალოდ დაჯდომის წინ — 260-280 კილომეტრიც — სტანდარტული. ზებგერითს არ სჭირდება არც „ზეზოლები“ და არც „ზეაერდრომები“. ეს მას საშუალებას აძლევს იფრინოს ნებისმიერ საერთაშორისო ხაზებზე და დაჯდეს ნებისმიერ აეროდრომებზე. მათ შორის მაღალმთიან და ტროპიკულზეც კი, რომელთაც 2.800-3.000 მეტრი სიგრძის ბეტონის ზოლი აქვს. გამოცდის პერიოდში ტუ-144 იყო ბრაზილია, ვარშავაში, ბერლინში, სოფიაში, პარიზში. ბარგის ავტომატიზებული კონტეინერული დატვირთვა-გადმოტვირთვის საშუალებით თვითმფრინავი საშორისო აეროდრომზე ფრენის გასაგრძელებლად მზადაა 30-40 წუთში. ყველა სისტემის შემოწმება, ძრავების ამუშავება, სალონების კონდიცირება, სადაც 120, ხოლო ტურისტულ ვარიანტში 150 კაცი ჯდება, ავტომომუერად ხდება. დიდი სიჩქარე, ჩინებული კომფორტი და კეთილმოწყობა, ყველაფერი ეს ტუ-144-ს ფართო შესაძლებლობებს უქმნის.

ალმა-ათაში მშვენიერი ამინდი იდგა. თეთრად მოქაფათე მთები აზიდულიყო ხასხასა ლურჯ ცაზე. სულ რაღაც ორი საათი დაგვჭირდა, რათა დაგვეძლია ტრასა, რომლის სიგრძეა 3.200 კილომეტრი. ამ მანძილს ტუ-154 ხუთ საათს უნდება.

ხანმოკლე შესვენება. ავსები საწვავით ივსება და ტუ-144 ისევ ჰაერშია. უკან დაბრუნება ასევე აბსოლუტურად ნორმალურად წარიმართა და ორი საათი და 3 წუთი დასჭირდა. ოღონდ ამ შემთხვევაში პილოტებმა ადგილები შეიცვალეს. პირველის ადგილი პოპოვმა დაიკავა და აი რატომ: ვედერნიკოვი „ტუპოლევის კაცია“, ე. ი. გამომცდელად მუშაობს საკონსტრუქტორო ბიუროში, ხოლო პოპოვი აეროფლოტის პილოტია, მათ მიერ ადგილების შეცვლა იმას ნიშნავდა, რომ მრეწველობამ თვითმფრინავი ეფსპლოატაციონისტებს გადასცა. აეროფლოტის პარკი იზრდება — მშვენიერი მანქანების რიგში ფლაგმანის ადგილი ზებგერითმა ტუ-144-მა დიკავა.

ვალერი ძაჯაია.

ამერიკა:

პრეზიდენტის არჩევნების წელი

საერთაშორისო შენიშვნები

უმერთებულ შტატებში პოლიტიკური ცხოვრების მაჯისცემა ამ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გახშირდა. ამერიკის საზოგადოებრიობა, პოლიტიკური წრეები ძლიერ შეაშფოთა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დანაშაულებრივი საქმიანობის ამასწინანდელმა მხილებამ, რომელმაც ჩრდილი მიაყენა ჯონ ფიშნგტონის პოლიტიკას და კიდევ უფრო შეარყია რიგით ამერიკელთა ნდობა ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი. ამერიკის შეერთებულ შტატებში მორალური კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ანგოლის საშინაო საქმეებში ამერიკის ჩარევის ფაქტები, და რომელმაც ცხადყო, რომ ვაშინგტონს ხელი არ აუღია საკრიერო პოლიტიკის გაკოტრებულ მეთოდებზე.

და ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როცა შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნების წელი დაიწყო, როცა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება წინასაარჩევნო ყაიდაზე გარდაიქმნება ხოლმე.

წინასაარჩევნო მარათონს სტარტი თებერვლის ბოლოს მეიცემა, როცა ნიუ-ჰემპშირში, ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ პატარა შტატში, გაიმართება პირველი პირველადი არჩევნები, რომელსაც შემდეგ მოჰყვება თვით რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების ყრილობებამდე ასეთივე არჩევნების მეელი სერია ქვეყნის სხვა შტატებში. პირველადი არჩევნების მსვლელობაში, რომელიც პრეზიდენტის არჩევნების კამპანიის პირველი ეტაპია, გაიმართება ბრძოლა იმ ორი უდიდესი ბურჟუაზიული პარტიის შიგნით, რომლებიც პრეზიდენტობის თვთრ სახლში პრეზიდენტის სავარძლის დაკავებაზე. პირველადმა არჩევნებმა უნდა გამოავლინოს თვითეული ამ პარტიიდან ყველაზე პოპულარული კანდიდატები პრეზიდენტის პოსტზე. ზაფხულის ბოლოს მათი რიცხვიდან პარტიული ხელმძღვანელობის რეკომენდაციით შეირჩევა და პარტიის ყრილობებზე დამტკიცდება პრეზიდენტობის ოფიციალური კანდიდატები.

ახლა კი, პირველადი არჩევნების წინ, როცა კანდიდატობის თითქმის ყველა პრეტენდენტის სახელი ცნობილია, თვით ყველაზე გამოცდილ ამერიკელ პოლიტიკურ მიმომხილველებსაც არ შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ, თუ ვინ გავა პრეზიდენტის სავარძლისათვის ბრძოლის ფინალში. ვითარება ორივე პარტიაში ერთობ რთულია და შიდაპარტიული ბრძოლა პირველადი არჩევნების მოახლოებასთან ერთად სულ უფრო მწვავდება. ამმრჩევლთა განწყობილების ერთ-ერთ ბარომეტრად ამერიკის პოლიტიკურ ანალიტიკოსებს გამოადგებად მხოლოდ საზოგადოებრიობის გამოკითხვა და კონგრესის შუალედური არჩევნების შედეგები, 1975 წლის შემოდგომაზე რომ გაიმართა. მაგრამ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგებს იძლევა.

რაც შეეხება უკანასკნელ შუალედურ არჩევნებს, მან გამარჯვება დემოკრატებს მოუტანა, რომლებმაც საკრძნობლად გაზარდეს თავიანთი უმრავლესობა კონგრესის ორივე პალატაში. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკელი ამომრჩეველი მათ მხარეზე შემობრუნდა. უკანასკნელი 40 წლის მანძილზე დემოკრატებმა მხოლოდ ერთხელ დაუთმეს უმრავლესობა კონგრესში რესპუბლიკელებს, რომლებმაც ამის მიუხედავად არაერთხელ გაიმარჯვეს პრეზიდენტის არჩევნებში.

მართალია დემოკრატიულ პარტიას, როგორც ოპოზიციურ პარტიას, მიეცა შესაძლებლობა გაიუმჯობესოს თავისი პოზიციები რესპუბლიკელებთან ბრძოლაში (ამაში არცთუ უკანასკნელი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკური სიძნელეებით სპეკულაციამ), მაგრამ მის რიგებში ვითარება კვლავ დაძაბული რჩება. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების წინ დემოკრატიული პარტიის ერთ ათეულზე მეტმა მოღვაწემ თავისი კანდიდატურა წამოაყენა. ისინი წარმოადგენენ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ მიმდინარეობებსა და დაჯგუფებებს პარტიის შინაგან — „ლიბერალებს“, „კონსერვატორებს“, „რეფორმისტებს“ და ა. შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარტიაში დღემდე არ არის დაძლეული დიდი ხნის განხეთქილება, რომელიც განსაკუთრებით გაღრმავდა პრეზიდენტის 1972 წლის არჩევნებში დემოკრატთა დამარცხების შემდეგ.

**დემოკრატიული პარტიიდან კანდიდატთა სიაში არის უკვე ცნობილი სახელები და ახალი პირები, რომლებსაც სხვადასხვა მდგომარეობა უჭირავთ როგორც პარტიაში, ისე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ შორის არიან — ამერიკელ „ქორთა“ ლიდერი სენატორი ჰ. ჰუმფრონი, წარმომადგენელთა პალატის წევრი მ. იუდოლი, „ლენდის კლანის“ წარმომადგენელი სენატორი შრაივერი. არჩევნებისათვის ემზადებიან ისეთი პოლიტიკური მოღვაწეებიც, როგორიც არიან ოუჯინ მაკარტი და ალაბამის გუბერნატორი ჯ. უოლეისი, რომლებსაც სრულიად საწინააღმდეგო პოზ

ერთ-ერთი უძველესი

თელავის ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. გასულ წელს მას ოთხმოცი წელი შეუსრულდა. დღეს ბიბლიოთეკას თელავის რაიონში აქვს 42 ფილიალი. ბიბლიოთეკით ათასობით მკითხველი სარგებლობს.

ამ დღეებში, როცა სტუდენტები ზამთრის საგამოცდო სესიებისათვის ემზადებიან, რაიონულ ბიბლიოთეკაში ძირითადად თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქალაშვილები და ჭაბუკები არიან.

სურათზე: ბიბლიოთეკაში.

ე. ეგინოვის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ექსპორტი — 50 მილიონი ბოთლი

დამთავრდა „ბორჯომის“ საწარმოო გაერთიანების № 1 ჩამომსხმელი ქარხნის რეკონსტრუქცია. საექსპლოატაციოდ გადაეცა წელიწადში 65 მილიონი ბოთლი სიმძლავრის ახალი საამქრო. აქ დადგმულია დიდმწარმოებლური ჩამომსხმელი მანქანები, მთლიანად მექანიზებულია დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები, საწყობებთან გაყვანილია რკინიგზა. ახლა გაერთიანების საწარმოები წელიწადში უშვებენ 400 მილიონზე მეტ ბოთლ წყალს, რაც თითქმის სამჯერ მეტია, ვიდრე მეცხრე ხუთწლედის დამდეგს.

— ბორჯომის წყლის პოპულარობა განუხრელად იზრდება, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს „საქმინხილწყლის“ გაერთიანების მმართველის მოადგილემ ო. დვალმა. — გასულ წელს მისმა ექსპორტმა პირველად მიაღწია 50 მილიონ ბოთლს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლის მიწოდებას.

მსახიობები მეორმრეგბთან

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის თეატრალურ დარბაზში ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობები ამ დღეებში შეხვდნენ თბილისის გარნიზონის მეომრებს.

სალამო გახსნა ოფიცერთა სახლის უფროსმა ინსტრუქტორმა პოდპოლკოვნიკმა ლ. ბაბაიანმა, შეხვედრის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. ნადიბაძე. ეს იყო ამერიკაკასიის ოლქის მეომართა წინაშე თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი ანგარიში მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს გაწეული საშეფო მუშაობის შესახებ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. შუშანია, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ვ. კანდელაკი, ტ. მალიშევა და თეატრის სხვა სოლისტები.

ბ. ნ. ჩიხლაძე

გარდაიცვალა, საკოლმეურნეო მშენებლობის ნიჭიერი ორგანიზატორი, სკკპ წევრი 1955 წლიდან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის წევრი, გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონსაბჭოს აღმასკომის წევრი, სოფელ ტყვიავის ლადო კეცხოველის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე **პიმენ ნიკოლოზის-ძე ჩიხლაძე.**

პ. ჩიხლაძე დაიბადა 1929 წელს გორის რაიონის სოფელ ტყვიავში, სადაც მიიღო დაწყებითი და საშუალო განათლება, ხოლო 1952 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ტყვიავის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ, 1961-დან 1963 წლამდე კი სოფელ ქვეშის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. შემდეგ „საქსოფლტექნიკის“ გორის რაიონულ განყოფილებაში მცენარეთა დაცვის რაზმის უფროსად იყო. 1963 წელს პ. ჩიხლაძეს ირჩევენ ტყვიავის ლადო კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სადაც იგი გარდაცვალებამდე მუშაობდა, კოლმეურნეობამ სწორედ ამ პერიოდში მიიღო დიდი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი.

სოფლის მეურნეობაში გულმოდგინე მუშაობასთან ერთად პ. ჩიხლაძე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, არჩეულ იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, პარტიის გორის რაიკომის წევრად, რაიონსაბჭოს დეპუტატად და აღმასკომის წევრად, დაჯილდოებული იყო ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მედლებით.

საკოლმეურნეო მშენებლობის თვალსაჩინო ორგანიზატორის, პრინციპული კომუნისტის, პატიოსანი და საქმისათვის თავდადებული ადამიანის პ. ჩიხლაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება გორის რაიონის მშრომელთა გულში.

საქართველოს კპ გორის რაიკომი, მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონსაბჭოს აღმასკომი.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

აცხადებს საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ახალგაზრდების და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ გოგონების მიღებას 1976 წლის პირველ კვარტალში

მშენებლობის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, საზღვაო ფლოტის, რკინიგზის ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის პროფესიებზე, შავი და ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირის, პოლიგრაფიული, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალობებზე.

მშენებლობის, ხის დამუშავებისა და სამთო მრეწველობის პროფესიებზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მზადდება:

№ 7 — ბორჯომი, ინტერნაციონალის ქ. № 6, ტელ. 22-97.
№ 12 — ფოთი, ტაბიძის ქ. № 12, ტელ. 11-02.
№ 17 — რუსთავი, კიროვის ქ. № 1, ტელ. 12-17-76.
№ 18 — თბილისი, ბუდაპეშტის ქ. № 2, ტელ. 37-12-33.
№ 19 — ტყიბული, ოქტომბრის ქ. № 42, ტელ. 26-93.
№ 20 — ჭიათურა, გაგარინის ქ. № 21, ტელ. 32-26.
№ 21 — ქუთაისი, წულუკიძის ქ. № 189, ტელ. 6-36-67.
№ 22 — ტყვარჩელი, ლაკობას ქ. № 4, ტელ. 27-18.
№ 26 — თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 72-ბ, ტელ. 66-42-02.
№ 28 — სამტრედია, გეგეშიძის ქ. № 26, ტელ. 38-09.
№ 44 — ბათუმი, ლეონიძის ქ. № 2.
№ 45 — სოხუმი, ძერკინსკის ქ. № 19, ტელ. 2-33-63.
№ 46 — საბერეო, გალის რაიონი.
№ 47 — გარდაბანი, ელსადგურის დასახლება, ტელ. 95-14-01 დამ. 23-96.
№ 54 — თბილისი, ჭიჭინაძის ქ. № 10, ტელ. 71-37-47.
№ 58 — სოხუმი, ვიჟა-ფშაველას ქ. № 7, ტელ. 2-71-63.
№ 61 — რუსთავი, ლომოურის ქ. № 6, ტელ. 12-60-90.
№ 62 — ზუგდიდი, კრილოვის ჩიხი № 3, ტელ. 32-37.
№ 63 — თბილისი, ლილოს დასახლება, ტელ. 73-04-90.
№ 68 — ვანი, მშვიდობის ქ. № 7, ტელ. 3-78.
№ 69 — მაიაკოვსკი, რუსთაველის ქ. № 68, ტელ. 29-87.
№ 70 — მარნეული,
№ 71 — თბილისი, მარელისის ქ. № 12, ტელ. 71-94-43.
№ 78 — ცხინვალი, გმირთა ქ. № 35, ტელ. 34-51.
№ 87 — თერჯოლა, სილიკატური აგურის ქარხნის ტერიტორია.

მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, ელექტროტექნიკური, ავტომრეწველობის პროფესიებზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მზადდება:

№ 4 — ქუთაისი, ავტოქარხნის ტერიტორია, ტელ. 69-5-73.
№ 5 — თბილისი, ართვინის ქ. № 53, ტელ. 95-23-72.
№ 6 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 1, ტელ. 66-09-95.
№ 8 — წულუკიძე, ლენინის ქ. № 38, ტელ. 3-77.
№ 32 — თბილისი, ახალქალაქის ქ. № 2, ტელ. 99-42-32.
№ 33 — ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12, ტელ. 6-40-47.
№ 38 — თბილისი, მეორე კომკავშირის ქ. № 22, ტელ. 74-22-91.
№ 49 — თბილისი, გორგასალის ქ. № 115, ტელ. 72-11-83.
№ 51 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 5, ტელ. 66-18-29.
№ 60 — თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2, ტელ. 66-72-59.
ფილიალი, № 60 — თბილისი, ჭიჭინაძის ქ. № 4, ტელ. 31-25-21, დამ. 63.
№ 79 — თბილისი, დიღმის მასივი, გამწვანების ზონა, ტელ. 51-06-65.

სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმების მექანიზატორები მზადდება:

№ 2 — ყვარლის რაიონი, სოფელი ენისელი.
№ 9 — წულუკიძე, ლენინის ქ. № 52, ტელ. 4-04.
№ 10 — გარდაბანი, საბჭოს ქ. № 108, ტელ. 95-14-01, დამ. 27-01.
№ 13 — გურჯაანის რაიონი, სოფელი ველისციხე, ტელ. 4-74.
№ 14 — სურამი, სარჯიშვილის № 5, ტელ. 2-12.
№ 15 — გორის რაიონი, სოფელი ხიდისთავი, ტელ. 7-72-62.
№ 30 — ხობის რაიონი, სოფელი ნოჯიხევი, ტელ. 25-13.
№ 40 — ქარელი.
№ 50 — გალის რაიონი, სოფელი ხუმუშკური.
№ 72 — წითელწყაროს რაიონი, სოფელი ჯაფარიძე, ტელ. 28-26.
№ 73 — თიანეთი, რუსთაველის ქ. № 19, ტელ. 1-12.
№ 77 — ზუგდიდის რაიონი, სოფელი ინგირი.
№ 82 — ახალქალაქი, მახარაძის ქ. № 46, ტელ. 24-25.
№ 83 — ლაჩხუთი, ცხაკაიას ქ. № 28.
№ 84 — აბაშა, რუსთაველის ქ. № 30.
№ 85 — გარდაბნის რაიონი, სოფელი სართიჭალა, სტალინის ქ. № 93.
№ 88 — ლაგოდეხი, სოფელი შრომა, ტელ. 22-37.

მსუბუქი, კვების, პოლიგრაფიული მრეწველობის, ფეხსაცმლის წარმოებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების პროფესიებზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მზადდება:

№ 1 — ბათუმი, მარქსის ქ. № 2, ტელ. 36-40.
№ 75 — თბილისი, ქერჩის შესახ. № 3, ტელ. 62-12-06.
№ 76 — ბათუმი, ლერმონტოვის ქ. № 84, ტელ. 61-60.
№ 80 — თბილისი, გლდანის მასივი, ტელ. 62-04-98.
№ 86 — რუსთავი, ბოსტანქალაქის — ქ. № 3, ტელ. 12-24-82.

მეტალურგიისა და ქიმიური მრეწველობის პროფესიებზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მზადდება:

№ 3 — რუსთავი, ტაშკენტის ქ. № 14.
№ 16 — რუსთავი, ქიმიური ბოჭკოების ქარხნის ტერიტორია, ტელ. 12-21-56.
№ 25 — ბოლნისის რაიონი, კაზრეთი.

საზღვაო ფლოტის, რკინიგზისა და კავშირგაბმულობის პროფესიებზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მზადდება:

№ 1 — ბათუმი, მარქსის ქ. № 2, ტელ. 36-40.
№ 31 — თბილისი, ოქტომბრის ქ. № 134, ტელ. 66-79-62.
№ 65 — თბილისი, ბოვრეთის ქ. № 8, ტელ. 72-44-44.

სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს მიეცემათ დიპლომი და უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილებით მიღებული სპეციალობისა და თანრიგის მიხედვით.

საშუალო განათლების მქონე კურსდამთავრებულებს, რომლებიც სასწავლებელს დაამთავრებენ წარჩინების დიპლომით, უფლება ეძლევათ ნაბარონს უმაღლეს სასწავლებლის დღის განყოფილებაზე, სადაც მიიღებიან საერთო წესის მიხედვით, ხოლო საღამოს დასწრებულსა და დაუსწრებელ განყოფილებაზე კონკურსის და სავალდებულო სამუშაო სტაჟის გარეშე.

სასწავლებლებში შეიძლება მიღებულ იქნას აგრეთვე საშუალო სკოლადამთავრებული ვაჟები.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულების მიღება წარმოებს ცალკე ჯგუფებად სწავლების 8 თვის ხანგრძლივობით და სწავლების მთელ პერიოდში ეძლევათ გადადებული სტიპენდია 65-90 მანეთის ოდენობით (სპეციალობის მიხედვით), საწარმოო პრაქტიკის დროს კი დამატებით მეცემათ აგრეთვე გამომუშავების 33 პროცენტი, ხოლო საფეიქრო მრეწველობის პროფესიებში — 50 პროცენტი.

შორეული რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული ახალგაზრდები სწავლების მთელ პერიოდში დაკმაყოფილებულნი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

სასწავლებლებში მიიღებიან ახალგაზრდები 25 წლის ასაკამდე.

სასწავლებლებში მიღებისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტები: 1. განათლების მოწმობა (დედანი); 2. დაბადების მოწმობა (დედანი); 3. ჯანმრთელობის ცნობა ფ. № 286; 4. ავტობიოგრაფია; 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 6. 4 ფოტოსურათი (ზომა 3X4 სმ.),

განცხადებაზე შეტანილ უნდა იქნას სასწავლებელში დირექტორის სახელზე. პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერა (სამხედროვალდებულებმა უნდა წარადგინონ პირადად).

სასწავლებელში პირველ რიგში ჩაირიცხებიან წარმოებადაწესებულებისა და კოლმეურნეობების, კომკავშირის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების მიერ გამოგზავნილი ახალგაზრდები, ინვალიდების შვილები, ობლები.

საბუთების მიღება წარმოებს 1976 წლის 31 იანვრამდე. სწავლა დაიწყება 1 თებერვალს.

დამატებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ: ქ. თბილისი კამოს ქ. № 68, საქართველოს სსრ პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტი, მოსწავლეთა მიღების, აღრიცხვისა და განაწილების განყოფილება — ტელ. 95-88-51, 95-37-33 **ყოველდღე დილის 9 საათიდან 19 საათამდე, შაბათს 10 საათიდან 17 საათამდე, კვირას 10 საათიდან 15 საათამდე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი.

გეგეჭკორიდან — ბამზე

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). ადგილობრივმა მეკონსერვეებმა, რომელთა პროდუქციის ძირითადი მომხმარებელი ბაიკალ-ამურის სარკინიგზო ტრასის მშენებლები არიან, ამ დღეებში მაღლობის წერილები მიიღეს უურალიდან და ციმბირიდან — ქარხნის პროდუქციით კმაყოფილი არიან ორენბურგელი, ჩელიაბინსკელი, ომსკელი და ასტრახანელი მშრომელები.

ტუნეგის საოცრება

კაჟი — სილიციუმის ორანგანი — ბუნებაში ყველაზე გავრცელებული მინერალია. მას ადამიანი ბავშვობის ასაკიდან ეცნობა, მაგრამ შეიძლება წარმოდგენა არ ჰქონდეს მის დიდ სამეურნეო და ტექნიკურ მნიშვნელობაზე.

კაჟის ნაერთები გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, გარემომცველ ბუნებაში. მისი მრავალი სახეობაა ცნობილი. ყველა ნეფენგანმა, მაგალითად, კარგად იცის ქვიშა, რითაც დაფარულია ზღვებისა და მდინარეების სანაპიროები. ამ ინერტულ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს მშენებლობაში, მას იყენებენ აგრეთვე სხვადასხვა ხარისხის მინის და მინის ჭურჭლის დასამზადებლად.

კაჟია ანკარა წყაროს წყალიანი გამჭვირვალე მთის ბროლიც და ნარფერი ქალცედონიც ანუ ტექნიკური კაჟი. და აი სწორედ ამ უკანასკნელისგან შედგება გაკაჟებული ტყე, ბუნების უიმშვიათესი საოცრება, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოშია — მესხეთის მიწის გულში ჩამარხული, პატარა მდინარე ბარბალის ხეობაში.

აღნიშნულ ხეობაში ლითოლოგიურად ქანები წარმოდგენილია ვულკანური ქანებით, ტუფობრეჭჩიებით, რომლებიც მესამეული პერიოდის ქვედა ნაწილს მიეკუთვნება და რომელთა ასაკი 15 მილიონი წლით განისაზღვრება.

ვულკანური ტუფობრეჭჩიების შრეები წყებას, რომლის სისქე 100 მეტრს აღემატება, შუა ნაწილში გამოერევა ერთ მეტრამდე სისქის დანალექი ქანების ფენადი წყება, რომელიც ტუფოქვიშაქვებით არის წარმოდგენილი და თანაბრად არის დალეკილი მდინარის ხეობის ორივე სანაპიროზე.

და აი სწორედ ამ ფენად წყებაზე ხარობდა ტყე, რომელიც შემდეგ გადაიფარა ვულკანური ქანებით. დროთა მსვლელობაში ქანებში, მოყოლილი ხის ნაწილები უჰაეროდ დალპა და მიწის სიღრმეში დატოვა ისეთივე სიცარიელეები, როგორი ფორმის და ზომის მცენარეებიც თვითონ იყო.

ცნობილია, რომ კაჟის წარმოშობა მიმდინარეობს ედემიწის ზედაპირთან ახლოს ქანების ბზარებსა და სივრცეებში, კაჟის შემცველი წყალხსნარებიდან. ამიტომაც არის, რომ ბარბალოს მიდამოებში კაჟიანმა წყალხსნარებმა, შეავსო ქანებში

კაჟის ... ტყე

მოყოლილი ხეების მიერ დატოვებული სიცარიელეები და ამკვამად ხეების ადგილას კაჟი გვევლინება.

გაკაჟებული ტყის მეტი ნაწილი ჰორიზონტალურად არის განლაგებული. ალაგ-ალაგ შეიმჩნევა ვერტიკალურად მდგომი ცალკეული სქელი გაკაჟებული ხეები, რომლებსაც გაუძლიათ ეროზია, ზედაფენილი ქანებისათვის და ეს ხეები ისეთივენი დარჩენილა, როგორიც 15 მილიონი წლის წინათ იყო. ხეების კარგად ეტყობა აგრეთვე ტოტების განშტოებები. მაგრამ გაკაჟებული ტყის ხეების უმრავლესობას ტოტების განშტოება არ ეტყობა, ხოლო ყოველ დამთავრებული წვეროების ახლოს საუკეთესოდ არის შემონახული პალმის ფოთლების ანაბეჭდები, რაც იმას გვანიშნებს, რომ ამ პერიოდში ტროპიკული პავა ყოფილა და ჩვენში ტროპიკული მცენარეები ხარობდა. ამაზე თვით ფერადი წყებაც მიგვითითებს, რადგან ფერადი წყება — ქანები მხოლოდ ცხელ კლიმატურ პირობებში ილექება. საინტერესოა, რომ ბარბალოს გაკეკავებული ტყე ძირითადად პალმებისა ყოფილა, რომელთა შორის ტროპიკული ტყის ფოთლოვანი წარმომადგენლებიც გვხვდება.

გაკაჟებული ტყე, რომელიც 15 მილიონი წლის წინათ ბუნების შვილება იყო, ამჟამად ბუნების საოცრება და დიდი სიმდიდრეა, როგორც ტექნიკური კაჟის უნიკალური საბადო.

ფიზიკური თვისებებით ტექნიკური კაჟი დიდი სიმაგრით და მდგრადობით ხასიათდება. იგი იმდენად მტკიცეა, რომ ფოლადის ბასრი დანაც ვერ ერევა, და იმდენად მდგრადი, რომ მისი დამლა მეავეებით არ ხერხდება. სწორედ ამ თვისების გამო იყენებენ კაჟს ტექნიკაში. მისგან ამზადებენ: საათის ქვებს, ზუსტი ხელსაწყოების ღეძებს, საყრდენ ბალიშებს, პრიზებს, ფილტრებს და მრავალ სხვა ნაწილებს, რომლებიც უძლებს ცვეთასა და ტემპერატურის მკვეთრ მერყეობას.

მესხეთში აღმოჩენილი გაკაჟებული ტყე ბუნების სიმდიდრე და საოცრებაა.

დ. უანდაშვილი,
გეოლოგი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — გაკაჟებული ხის ტოტები; გაკაჟებული პალმა.

ავტორის ფოტო.

ფეხბურთი

წელს — ორი ჩემპიონატი

ჩემპიონი გამოვლინდება გაზაფხულზეც და შემოდგომაზეც

წლეულდელ სეზონში ფეხბურთელთა გუნდების ორი ჩემპიონატი ჩატარდება: ერთი გაზაფხულზე, მეორე — შემოდგომაზე. ეს ცნობილი გახდა საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს პრეს-კონფერენციაზე 5 იანვარს. გაზაფხულის პირველობა დაიწყება 4 აპრილს და დამთავრდება 11 ივლისს, შემოდგომისა კი 15 აგვისტოდან 15 ნოემბრამდე გასტანს. შესვენების დროს ჩვენი ფეხბურთელები გამოვლენ საერთაშორისო ტურნირებში.

ორივე ჩემპიონატი (თამაშები ერთ წრედ გაიმართება, ხოლო შეხვედრის ადგილი წილისყრით დადგინდება) გამოავლენს პრიზორებს, მაგრამ გაზაფხულის პირველობის შემდეგ ერთი ლიგიდან მეორეში გადასვლა არ მოხდება.

გაზაფხულის ჩემპიონატის პირველ ტურში (4 აპრილს) ერთმანეთს ხვდებიან: „დნეპრი“-„ზენიტი“, „შახტიორი“-„დინამო“ (მინსკი), „ჩერნომორეცი“-„კრილია სოვეტოვი“, „კარპატი“-„ტორპედო“, „დინამო“ (კიევი)-„დინამო“ (მოსკოვი), „ზარია“-„ლოკომოტივი“, „არარატი“-„სპარტაკი“, „დინამო“ (თბილისი)-ცსკა. მასპინძლები დასახელებული არიან პირველად.

გაზაფხულის გათამაშების გამარჯვებული მიიღებს უეფა-ს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას.

სსრ კავშირის თასი გათამაშდება მარტიდან სეტემბრამდე.

პირველ ლიგაში გამოვა 20, ხოლო მეორეში — 120 გუნდი.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲒᲐᲓᲠᲐᲙᲘ. ჰასტინგსის ტურნირზე ხუთი ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულით ლიდერობდნენ საბჭოთა დიდოსტატები დ. ბრონშტეინი და ვ. კორჩნოი. ორივეს ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები მეხუთე ტურში ინგლისელ ოსტატ ბელინთან და პორტთან. მეექვსე ტურის შემდეგ კი დაწინაურდა ულმანი, რომელსაც 5 ქულა დაუგროვდა, კორჩნოისა და ბრონშტეინს 4-4 ქულა აქვთ.

ᲮᲔᲚᲒᲣᲠᲗᲘ. სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელიც საფრანგეთისა და ავსტრიის გუნდებთან გადამწყვეტი ოლიმპიური შესარჩევი მატჩებისათვის ემზადება, ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში ორი შეხვედრა გამართა. პირველი დამთავრდა ფრედ — 13:13, მეორეში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 19:15. შეგახსენებთ, რომ საბჭოთა სპორტსმენები ლიდერობენ მეოთხე ევროპულ ჯგუფში.

სულ ევროპაში შვიდი ჯგუფია, რომელთა შორის გამარჯვებულნი აზიის, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტების ჩემპიონებთან ერთად გაიმეტრავრებიან მოწრეალში. წინასწარი თამაშებისაგან თავისუფალი არიან მასპინძლები — კანადელები და მსოფლიოს ჩემპიონები — რუმინელი ხელბურთელები.

ᲙᲘᲚᲘ. მახაჩინძალთა ხრული უპირატესობით დამთავრდა ამერიკა-კანადის პროფესიონალებთან საბჭოთა პოკეისტების მეოთხე შეხვედრა. „ბუფალო სეიბრსის“ გუნდმა ანგარიშით 12:6 (4:2, 5:2, 3:2) სძლია მოსკოვის „კრილია სოვეტოვს“. მორიგ შეხვედრებს ცსკა და „კრილია სოვეტოვი“ გამართავენ 7 და 8 იანვარს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ დაამთავრა ტურნე ინდოეთში. ბოლო შეხვედრაში მან ანგარიშით 5:0 დამარცხა ანდხრა-პრადეშის შტატის კლუბების ნაკრები.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ნაკრებს ამიერიდან უხელმძღვანელებს ცნობილი მწვრთნელი სტეფან კოვაჩი, რომელიც თავის დროზე წვრთნიდა ევროპის ჩემპიონთა თასის მრავალჯერის მფლობელს ამსტერდამის „აიაქსს“ და აგრეთვე საფრანგეთის გუნდს.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ნაკრებმა რომში ამხანაგურ მატჩში სძლია ხაბერძნეთის გუნდს — 3:2.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საქართველოსა და ქალაქ თბილისის პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოებები, ჰ. . უურაშვილის სახელობის ბავშვთა პირველი კლინიკური საავადმყოფო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, პარტიის წევრი 1940 წლიდან

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲛᲔᲚᲘᲢᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲫᲝᲠᲘᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲬᲔᲚᲘ — ᲝᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔᲪ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔᲪ

ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲠᲘᲒᲘᲗ

ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲠᲘᲒᲘᲗ

ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲠᲘᲒᲘᲗ

ᲛᲘᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ თეატრალურ დარბაზში ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობები ამ დღეებში შეხვდნენ თბილისის გარნიზონის მეომრებს.

სალამო გახსნა ოფიცერთა სახლის უფროსმა ინსტრუქტორმა პოდპოლკოვნიკმა ლ. ბაბაიანმა, შეხვედრის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. ნადიბაძე. ეს იყო ამერიკაკასიის ოლქის მეომართა წინაშე თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი ანგარიში მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს გაწეული საშეფო მუშაობის შესახებ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. შუშანია, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ვ. კანდელაკი, ტ. მალიშევა და თეატრის სხვა სოლისტები.

ᲓᲧᲔᲚᲨᲘ ᲮᲢᲝᲛᲐ

აუჯში — მოსწავლეები

დღეს, 6 იანვარს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული 160-მდე მოსწავლე თბილისის აუჯში დაიწყებს ასპარეზობას წყალში ხტომაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე. საპატიო ჯილდოებს გაითამაშებენ 10-დან 14 წლამდე ასაკის გოგონები და ბიჭები.

საქართველოს გუნდში არიან ამ ასპარეზობის შარშანდელი გამარჯვებულნი 10 წლის ი. გუფტაკულოვა, 12 წლის ხპორტის ოსტატი ხ. შალიბაშვილი, 11 წლის მ. ნოზაძე და სხვები.

ასპარეზობა 10 იანვარს დამთავრდება.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, ხოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ᲔᲘ 05515

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14